

ქესარია (ქესო)
კალანდარიშვილი

100 

სინო
კალანდარიშვილი

თეატრი ხელოვნების ერთ-ერთი დარგია ... იგი თარღის დახურვისთანავე კვდება!

მასზე მსჯელობა მხოლოდ ფოტოებისა და თეატრმცოდნეების ჩანაწერებით არის შესაძლებელი...

ასეთი მონოგრაფიის გამოცემა არსებითად მნიშვნელოვანია იმ ადამიანების უკვდავსაყოფად, რომლებმაც მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრება რეგიონული თეატრების განვითარებას მიუძღვნეს...

მათი სახელები უძველესად არ ჩაგვიან!

სწორედ ასეთ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება გახლდათ ბატონი სინო კალანდარი-შვილი!

მადლობას ვუხდით მის ქალიშვილს, ქალბატონ კესოს, ამ დიდი ღვაწლისთვის!

მან მარცო მამის სახელი კი არ უკვდავყო, არამედ, ზოგადად ქართულ თეატრს გაუწია დიდი სამსახური. თაობებს გააცნო ბატონი სინოს მოღვაწეობა და საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა გორისა და ფოთის თეატრების ისტორიის მნიშვნელოვანი პერიოდი.

საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა
კავშირის პრეზიდენტი

ნიკოლოზ წულუკიძე

კესარია (კესო)
კალანდარიშვილი

სიკოცხოე
აღრავიწყებისა და
ღირების უმოყვანდელით

ფოთი— 2016 წელი

წინათქმა

წარსული მუდამ ჩვენთანაა... აჩრდილივით ასდევნებია აწმყოს და გამუდმებით თავს გვახსენებს.

საოჯახო ალბომის თვალიერება მიყვარს, საიდანაც სიძველის სურნელი იფრქვევა თითქოს და მოგონებებით მაბრუნებს. ფოტოკადრებიდან ცოცხლებივით შემომოცქერიან მარადისობაში გადასული საყვარელი ადამიანები. აი, მამაჩემი — სინო კალანდარიშვილი — კაცი შემოქმედი, სიკეთისა და სილამაზის მსახური, ტანად მთა კაცი, სულით საოცრად ფაქიზი, კეთილად მოზრიალე დიდი თვალებით, უშრეტი ენერგიით, დაუღალად მშრომელი, თეატრზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი... მან მთელი თავისი სიცოცხლე, მჩქეფარე ენერგია და მგზნებარე სიყვარულით აღსავსე გული ქართული თეატრალური კულტურის, კერძოდ კი, ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის თეატრის წინსვლისა და განვითარების სამსახურს მიუძღვნა.

თეატრი მისი მეორე ოჯახი იყო, შთაგონების წყარო, შემოქმედებითი აღმაფრენის, ხალხის კეთილმსახურების უწმინდესი კერა. თანამშრომლებისათვის იგი არამარტო ხელმძღვანელი, რეჟისორი და მსახიობი, არამედ ერთგული მეგობარი და ძალზედ ახლობელი ადამიანი იყო.

დასანანია, რომ იგი ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან... მხოლოდ 64 წლისა და რამდენი იდეა დარჩა განუხორციელებელი.

2016 წლის 21 დეკემბერს სინო კალანდარიშვილის დაბადებიდან 100 წელი სრულდება. ამიტომაც გამიჩნდა სურვილი, პატივი მიმეგო მამის ხსოვნისადმი, გადმომეცა მისი ცხოვრების ეპიზოდები, აღმენუსხა მისი შემოქმედებითი გზა და შემეხსენებინა საზოგადოებისათვის სინო კალანდარიშვილის - მსახიობის, რეჟისორისა და დიდი ორგანიზატორული ნიჭის მქონე პიროვნების

მოღვაწეობა.

ჩანაფიქრის განხორციელება საარქივო მასალების შესწავლით დავიწყე. ვკითხულობდი მამისეულ ჩანაწერებს, საგაზეთო პუბლიკაციებს, ვესაუბრებოდი მის მეგობრებს....

ვრცელი სადიპლომო ჩანაწერების კითხვისას თვალწინ გადამეშალა მისი ახალგაზრდობის წლები, მეგობართა წრე, მიზნები და მისწრაფებები, შესაძური გულმოდგინება და საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება... მისი პროფესიული არჩევანის სისწორეშიც დავრწმუნდი. მამისთვის ალღოს არ უმტყუნია და მომავლის ყლორტი იმ ფესვზე დაუმყნია, სადაც ყველაზე მეტი სარგებლის მოტანა შეეძლო... ეს დრომაც დაამტკიცა!

მუშაობის პროცესში ჩემს ცნობიერებაში თანდათან იძერწებოდა შემოქმედი ადამიანის პორტრეტი, რაც საბოლოოდ პატარა წიგნად იქცა.

უზომოდ ბედნიერი ვიქნები და ჩემი ღირსეული წინაპრის წინაშე თავს ვალმოხდილად მივიჩნევ, თუკი შევძლებ სათანადოდ შევიცნო და გადმოვცე მისი ნამოღვაწარი.

“წარსული მყარი საფუძველია ნათელი მომავლისა”... ამდენად, ამ მოკრძალებული ნაშრომის მიზანია ფოთელ მსახიობთა ახალმა თაობამ არ დაივიწყოს მათი თეატრის სახელოვანი წინაპრების ღვაწლი. საზოგადოებასაც უნდა ახსოვდეს ის ადამიანები, ვინც საფუძველი ჩაუყარა მდიდარი ტრადიციებისა და საამაყო წარსულის მქონე კულტურის კერას ჩვენს ქალაქში.

ამ პატარა წიგნმა იქნებ სათავე დაუდოს საშვილიშვილო საქმის ხორცშესხმასაც — გამოიცეს ფოთის თეატრის ისტორია, რადგან დიდებული ადამიანები უძეგლოდ არ უნდა იკარგებოდნენ.

კესარია (კესო) კალანდარიშვილი



1916 - 1980

სინო ლუკას ძე კალანდარიშვილი დაიბადა 1916 წლის 21 დეკემბერს გურიის ერთ—ერთ ულამაზეს სოფელ ნიგოეთში. იგი კესარია და ლუკა კალანდარიშვილების მრავალშვილიანი ოჯახის ნაბოლარა შვილი იყო. ბავშვობის შთაბეჭდილებებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა მის სულიერ ფორმირებაზე და შთაგონების პირველწყაროდაც იქცა. ექვსი წლის ყოფილა პირველი წარმოდგენა, რომ უნახავს და შეუგრძვნია თეატრის სიყვარული. ეს განცდა მას აღწერილი აქვს თავის ბიოგრაფიაში. “სცენის მოყვარულებმა „კაკო ყაჩაღი“ გაითამაშეს. სცენა სკოლის აივანზე იყო მოწყობილი, მოაჯირის სვეტებზე ფარნები ეკიდა, ერთგან ლამპაც ენთო. მკრთალი შუქი ანათებდა „ტყეს“ — სადეკორაციოდ მოჭრილ და ფიცრებშია გაჩრილ ნამდვილ ხის ტოტებს. მაყურებლები ცისქვეშ, ბალახგათელილ ეზოში ისხდნენ — სკამებზე, ლოდზე, გაზეთებზე, ჭუჭრუტანებიდანაც იჭყიტებოდნენ. ეს უფრო აძლიერებდა იდუმალების ბავშვურ ილუზიას და პატარები უნებლიედ გადაჰყავდა ზღაპრულ თუ სიზმარეულ სამყაროში.”

პატარა სინო წარმოდგენის ბოლომდე თვალდაუხამხამებლად მისჩერებოდა სცენას, აფორიაქებული დაბრუნებულა და მოსვენება დაუკარგავს კაკოსა და ზაქროს ბედით შენუხებულს. უფროსი ძმების დახმარებით ზეპირად შეუსწავლია ადგილები ამ შესანიშნავი ნაწარმოებიდან, თანაც უთქვამს, ნეტავ, მეც შემეძლოს წარმოდგენებში მონაწილეობაო.

ყველა ბავშვში პატარა მსახიობი ზის. უსაზღვროა მათი ფანტაზია და წარმოსახვის უნარი, პატარა სინოც სიმინდის გრძელ უღვაშებს იკეთებდა და ჯოხის ცხენს დააგელვებდა ნიგოეთის ორღობეებში, შარაზე თუ ბილიკებზე, ხან კაკო ყაჩაღი იყო, ხან ზაქრო და ხანაც არსენა (აკ.გენაძე, „საბჭოთა ხელოვნება“, გვ.49, 1966წ.).

ეს უბრალო ბავშვური თამაში როდი გამოდგა. უკვე მეოთხე კლასში სწავლისას მან სანადელი აისრულა — ჯერ კაკოს როლი შეასრულა, შემდეგ — ზაქროსი. ამ გატაცებით აღფრთოვანებული ყმანვილი თბილისის ა. ჯაფარიძის სახელობის ინდუსტრიულ ტექნიკუმში სწა-

ვლის პერიოდში ეზიარა დედაქალაქის თეატრალურ ცხოვრებას. თითქმის არ აკლდებოდა რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების სპექტაკლებს, რომლებსაც დიდი რეჟისორები — კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი დგამდნენ. მათში მონაწილე მსახიობთა ოსტატური თამაშით კი მუდამ მოხიბლული რჩებოდა სცენისმოყვარე ახალგაზრდა. ამავე ტექნიკუმში სწავლისას იგი დრამატულ წრეში გაერთიანდა და ცნობილი მსახიობის პიერ კობახიძის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო პიესებში: „რღვევა“ და „საჭე ჩრდილოეთისაკენ!“ ორივე სპექტაკლში სინო მთავარ როლებს ასრულებდა.

1934 წელს თბილისში გაიხსნა საქართველოს სასცენო ხელოვნების უმაღლესი კურსები, რომელიც შემდეგში უნდა გადაკეთებულიყო თეატრალურ ინსტიტუტად. მისი ხელმძღვანელი იყო ცნობილი თეატრალური მოღვაწე, პროფესორი აკაკი ფალავა. სინო კალანდარიშვილი ჩაირიცხა სარეჟისორო ფაკულტეტზე. სამწუხაროდ, ეს კურსები ერთი წლის შემდეგ გაუქმდა და აქაური მოსწავლეები გადაიყვანეს მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან არსებულ თეატრალურ სტუდიაში, სადაც სწავლა უმაღლესი სასწავლებლის პროგრამით მიდიოდა.



*კოტე მარჯანიშვილი
(1872 – 1933)
და სანდრო ახმეტელი
(1886—1937)*

გამოჩენილი ქართველი რეჟისორები



პეტრე (პიერ)
კალისტრატეს ძე კობახიძე
საქართველოს სახალხო არტისტი
(1906—1963)



აკაკი ნესტორის ძე ფალავა
ქართველი რეჟისორი
(1887—1962)

გაუმართლა ალლომ, ფეხი შედგა დიდი თეატრის სცენაზე. პირველი პროფესიული ნათლობა ბომარშეს „ფიგაროს ქორწინებაში“ მიიღო. მაშინ მისი რეჟისორი პედაგოგი ვასო ყუშიტაშვილი გახლდათ, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთის თეატრალურ ცხოვრებაში. მუსიე ყუშიტას სახელით. მიწვევით მუშაობდა ფირმენ ჟემიესთან ანტუანის თეატრში, ხოლო შემდგომ ცნობილ ფრანგ მსახიობთან, შარლ დიუვალთან ერთად შექმნა ახალი თეატრი „ატელიე“. ამ ნიჭიერი ხელოვანის მზრუნველობა, სინოს არც შემდგომში მოჰკლებია (კ. კომახიძე, გაზ, „ახალი კოლხეთი“, 1966 წ.).

სტუდიელებისათვის სწავლის პერიოდში მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენა პროფესიული სამჭედლო გახდა. ამ სცენაზე ახალგაზრდების შემოქმედებითი ზრდის მიზნით რეჟისორებს: სერგო ჭელიძეს, ვასილ ყუშიტაშვილს, პავლე ფრანგიშვილს არაერთი სტუდენტური სპექტაკლი დაუდგამთ. შემონახული ფოტო სურათებიდან კარგად ჩანს, რომ სინო კალანდარიშვილს სხვა ნიჭიერ ახალგაზრდებთან ერთად, ამ სპექტაკლებში საინტერესო გმირები განუსახიერებია. იგი ასევე აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის მასშტაბით მხატვრულ — შემოქმედებითი ღონისძიებების ჩატარებაში.



რეჟისორი—ვ.ყუშიტაშვილი
1894—1962




რეჟისორი—ს.ჭელიძე
1908-1977

სინო კალანდარიშვილის პედაგოგები



სინო კალანდარიშვილი და
ვასო ყუშიტაშვილი.
1937 წელი.





კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრალური სტუდიის მე—4 კურსის სტუდენტები კოტე მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობებთან ერთად. სპექტაკლის „ძალათ ექიმის“ (რეჟ.—ვასო ყუშიტაშვილი) პრემიერის შემდეგ 1937 წელი, 5 იანვარი.



კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრალური სტუდიის სტუდენტები: მარცხნიდან სხედან — რეჟისორი ს.ჭელიძე, მსახიობი — კ.გვინჩიძე. დგანან მარცხნიდან — ვლადიმერ გელაშვილი (მე—4 კურსის სტუდენტი), სინო კალანდარიშვილი (მე—4 კურსის სტუდენტი), სიმონ ტურიანი (მე—4

კურსის სტუდენტი), ნინა ოქრუაშვილი (მე— 3 კურსის სტუდენტი), იოსებ კობახიძე (მე— 2 კურსის სტუდენტი), მარო გელაშვილი (მე—2 კურსის სტუდენტი), ვასო კახნიაშვილი (მე—4 კურსის სტუდენტი).

1938 წლის 1 იანვარი.

| მარჯანიშვილის სახელობის თეატრი | | მარჯანიშვილის სახელობის თეატრი | |
|-----------------------------------|--|-----------------------------------|-------------------------------|
| 12/17 წარმ. 26.170 | ნიმუშების გზაში | 12/17 წარმ. 26.170 | ნიმუშების გზაში |
| 12/17 წარმ. 26.170 | თეატრის არსებითი სოციალური საქმიანობის კურსდამთავრებულთა საბავშვო სემინარი | 12/17 წარმ. 26.170 | საქმიანობის დასრულების შემდეგ |
| 12/17 წარმ. 26.170 | ნიმუშების გზაში | 12/17 წარმ. 26.170 | ნიმუშების გზაში |




კ.მარჯანიშვილის სახელობის თეატრი — სპექტაკლის „სამანიშვილის დედინაცვალი“ — დამთავრების შემდეგ დგანან მარცხნივ აკ.პიკუჩავა, მარჯვნივ — ს. კალანდარიშვილი. ცენტრში — ს.ახალაძე.

1938 წელი, 13 ივნისი.



თეატრალური სტუდიის სტუდენტები კოლექტივში მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობებთან.

1938 წელი.



სცენა სპექტაკლიდან „შური“ (დრამატურგი: ი. ვაკელი, რეჟისორი: ს. ჭელიძე).
 მონაწილენი: კოსტავა, კალანდარიშვილი, დვალი, ბოკუჩავა.
 1938 წელი. 3 აპრილი.

ცხადია, მისთვის დაუფინყარი იქნებოდა 1938 წლის 10 მაისი, როცა სასწავლებლის კურსდამთავრებულებმა სადიპლომოდ ნამუშევრად წარმოადგინეს ძმები ტურების და შეინინის სპექტაკლი — „პირისპირ“. მარჯანიშვილის სახელობის თეატრს, ჩვეულებისამებრ, უამრავი მაყურებელი მიანყდა. სინოს „სადიპლომო“ ჩანანერებში ვკითხულობთ: „ვზივარ საგრიმიოროში და სარკესთან გრიმს ვიკეთებ. ძალიან ვნერვიულობ, დასამშვიდებლად თავს დამტრიალებს მსახიობი გიორგი შავგულიძე და

დინჯად მისწორებს გრიმს. გვერდით კი ჩემი პედაგოგები — ვასო ყუშიტაშვილი და სერგო ჭელიძე სხედან, რომლებიც არანაკლებ ღელავენ. მე ხომ სადიპლომო სპექტაკლში მთავარ როლს — „ლარცევს“ ვთამაშობდი. დაიწყო სპექტაკლი, ღელვა შეწყდა, მაყურებელთა რეაგირება ადასტურებდა, რომ სპექტაკლი წარმატებით მიდიოდა. პირველი შესვენება... თეატრის მსახიობები: გიორგი შავგულიძე, პიერ კობახიძე, ელენე სიბილა, ივანე გვინჩიძე, ვასო გოდიაშვილი, სესილია თაყაიშვილი წარმატებას მილოცავენ და მამხნევენ. მეორე შესვენება... მესამე შესვენება... და აი, უკვე ფინალი! მაყურებელთა ოვაცია არ წყდება, სცენაზე დამდგმელი პედაგოგი სერგო ჭელიძე გამოიძახეს, ხოლო დარბაზიდან განუწყვეტლივ ისმოდა შეძახილები: „ლარცევი!“, „ლარცევი!“, „კალანდარიშვილი!“...

მამიძე. ვინაჲ სპექტაკლი უნდა იყოს
 შიშა. მყუხუბრად ხიბუხუბად დასრულდა, ხელ
 სპექტაკლი წარმატებით მიდიდა, თეატრი შესვენება
 დასრულდა მსახიობები: ვ. შავგულიძე, პ. კობახიძე, ე. სიბილა,
 ი. გვინჩიძე, ვ. გოდიაშვილი, ს. თაყაიშვილი, გ. შავგულიძე,
 პ. კობახიძე, ე. სიბილა, ი. გვინჩიძე, ვ. გოდიაშვილი, ს. თაყაიშვილი.



გოგონა...
 ვინაჲ სპექტაკლი უნდა იყოს
 შიშა. მყუხუბრად ხიბუხუბად დასრულდა, ხელ
 სპექტაკლი წარმატებით მიდიდა, თეატრი შესვენება
 დასრულდა მსახიობები: ვ. შავგულიძე, პ. კობახიძე, ე. სიბილა,
 ი. გვინჩიძე, ვ. გოდიაშვილი, ს. თაყაიშვილი, გ. შავგულიძე,
 პ. კობახიძე, ე. სიბილა, ი. გვინჩიძე, ვ. გოდიაშვილი, ს. თაყაიშვილი.



სცენა სადიპლომო სპექტაკლიდან „პირისპირ“. (რეჟისორი: ს.ჭელიძე), მარცხნივ ლარცევი — კალანდარიშვილი, გალკინი — ს.ახალაძე) 1938 წ. 14 მაისი.



სცენები სადიპლომო სპექტაკლიდან „პირისპირ“. (რეჟისორი: ს.ჭელიძე) მარცხნიდან მარჯვნივ — ლარცევი — ს.კალანდარიშვილი, ლავრენკო — აკ.ბოკუჩავა, ივანოვი — გელაშვილი, პრიხოდკო — ჩხეიძე, ექიმი — ბოლქვაძე, კომენდანტი — კინწურაშვილი. 1938 წ. 14 მაისი.

წარმოდგენის ლელვა სიხარულით დამთავრდა... ახალგაზრდებს ეს გამარჯვება ბევრმა მიულოცა. დებიუტანტ სინო კალანდარიშვილს განსაკუთრებით დაამახსოვრდა ვასო ყუშიტაშვილის, სერგო ჭელიძის, ვერიკო ანჯაფარიძის, შალვა ლამბაშიძის, გიორგი შავგულიძის



არჩილი—„შური“ ფილიპო—„საპატარდლო აფიშით“



კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან არსებული თეატრალური სტუდიის კურსდამთავრებულები. მარცხნიდან სხედან: ავალიანი, ს.კალანადარიშვილი, რეჟისორი— ვ.ყუშიტაშვილი, დირექტორი— შ.ლამბაშიძე, გელაშვილი, პატარაია, ტურიანი, რეჟისორი — ჭელიძე, უტიაშვილი. მარჯვნიდან სხედან: მივრალაშვილი, ს.ახალაძე, აკ.ბოკუჩავა.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სინო კალანდარიშვილი განაწილებით კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატიულ თეატრში დარჩა მსახიობად. მაგრამ მოხდა ისე, რომ რამდენიმე თვეში იგი თანაკურსელ მეგობრებთან ერთად 1938—39წ. სეზონი სოხუმის თეატრის ქართულ დასში გაატარა და ერთი წლის შემდეგ კვლავ მარჯანიშვილის თეატრში დაბრუნდა.

1939 წელს ქალაქ გორში თეატრის ახალი შენობის აგებასთან დაკავშირებით სინო კალანდარიშვილი რჩეულ, ნიჭიერ ახალგაზრდებთან ერთად გორის თეატრის დასში მიავლინეს ერთი წლით, სინამდვილეში 15 წელიწადს დარჩა იქ.



*სინო კალანდარიშვილი.
ქ.გორი. 1939 წელი.*

1940 წლის იანვარში ი. გედევანიშვილის პიესით „გადასასვლელზე“ აიხადა გორის თეატრის ფარდა. მას მოჰყვა პიესები: „ბრმა მუსიკოსი“, „შამილი“, „მისი ცოლი“, „ჩვენი მინა“ და სხვა. ამ სპექტაკლებში სინო მთავარ როლებს ასრულებდა, თან ახალ მაცურებელთანაც სახელს იხვეჭდა. გორის თეატრს მაშინ სათავეში ედგარესპუბლიკის სახალხო არტისტი პავლე ფრანგიშვილი.



*პავლე ფრანგიშვილი
ქართველი რეჟისორი,
საქართველოს სახალხო არტისტი
1897—1966*

50—იანი წლები... გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრში გარდატეხის პერიოდია. აქ მოღვაწეობენ სახელოვანი თეატრალეები — პავლე ფრანგიშვილი და ვასილ ყუშიტაშვილი. მათ აღზარდეს და დაახელოვნეს ისეთი თვალსაჩინო მსახიობები, როგორებიც იყვნენ; შალვა ხერხეულიძე, შოთა ხაჭალია, შოთა პირველი, ალექსანდრე შონია, საშა და სინო კალანდარიშვილები, ვასო კახნიაშვილი, ქეთევან ბოჭორიშვილი, გივი ციციშვილი, ლადო ცხვარიაშვილი, რომლებმაც თავიანთი სიტყვა თქვეს ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში. ამ ნიჭიერი რეჟისორებისაგან სინომ ბევრი რამ ისწავლა და შეიტვისა. ისინი მისი ჭეშმარიტი მასწავლებლები იყვნენ.



*გორის თეატრის მთავარი რეჟისორი
ვ.ყუშიტაშვილი.*

*მსახიობები: ს.კალანდარიშვილი, ე.არაქელოვი, შ.ხერხეულიძე.
1949წ.*



გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი. პირველ რიგში — მარცხნიდან მეოთხე — თეატრის დირექტორი პავლე ფრანგიშვილი, მეოთხე რიგში — ცენტრში — მთავარი რეჟისორი ვასილ ყუშიტაშვილი, მეორე რიგში — ცენტრში — სინო კალანდარიშვილი.

1942 წელი.



სცენა სპექტაკლიდან „ბრმა მუსიკოსი“. დრმატურგი — ქორიანი, ბრმა ალექსანდერეს როლში — სინო კალანდარიშვილი (გიორგი ერისთავის სახელობის გორის თეატრი, 1939—40წ.).

გორის თეატრში სინო კალანდარიშვილმა 100—მდე როლი შეასრულა. თეატრმცოდნეების მიერ განსაკუთრებით აღნიშნულია მისი გმირები: არსენა (ალ.ყაზბეგის, არსენა’), სვიმონ ლეონიძე (დავით ერისთავის „სამშობლო“), ოთარ ბეგი (სუმბათაშვილ—იუჟინის „ლალატი“), ელი (გოლდონი პიესა „საპატარძლო აფიშით“), ჰორტენზიო (შექსპირის „ჭირვეულის მორჯულება“). ერთგვარი სიამაყის გრძნობით ვკითხულობდით რეცენზიებს, რომლებსაც შემოუნახავს სინო კალანდარიშვილის წარმატებები და მისი როლების შეფასებები. (შ. მახარობლიძე, გაზ. „ახალი კოლხეთი“ 1966წ.)



სცენა სპექტაკლიდან „ჩვენი მინა“.



სცენა სპექტაკლიდან „ჩაძირული ქვები“. მარჯვნიდან მეორე, ჯემალი — ს.კალანდარიშვილი



სცენა სპექტაკლიდან „პირადი საქმე“. მარჯვნიდან პირველი, როდიონ გავაშელი—ს.კალანდარიშვილი



გიორგი ერისთავის სახელობის გორის თეატრის მსახიობთა ჯგუფი სპექტაკლ „საპატარძლო აფიშით“ რეპეტიციის შემდეგ. მარჯვნიდან დგანან: აკ.ოსაძე, ს.კალანდარიშვილი, ვ.კახნიაშვილი, შ. ხერხეულიძე, ივერიელი (რესპ. დამს. არტიტისტი). სხედან მეორე რიგში: ერისთავი, ალექსიშვილი, აბაშიძე, გურგენიძე, სეილანოვა. პირველ რიგში სხედან: გაგნიძე, ეკატერინე ვერულეიშვილი, ბელუაშვილი.
(ქ.გორი, 1944 წელი. იანვარი)

მ. ქორიანის „ბრმა მუსიკოსში“ მან მთავარი როლი შეასრულა. იგი ღრმად ჩასწვდა უსინათლო ადამიანის სულის მძლავრ ტკივილს, ვნებათა ღელვას და ეს მაყურებელსაც განაცდევინა.

უფრო რთული გამოდგა შამილის სახე ამავე სახელწოდების სპექტაკლში. ჯერ თავი იჩინა არტისტულმა გამოუცდელობამ, ჯეროვნად ვერ გადმოსცემდა ამ ძლიერი ადამიანის მრისხანებასა და ვარამს ტანჯვას თუ სიხარულს, ზედმეტად ღელავდა და ვერ იქნა და ვერ „ჩაჯდა“ შამილის დარბაისლურ ბუნებაში. მაგრამ თანდათან გადალახა დაბრკოლება, ასე, „მოირგო“ შამილის ჩაღმა. ბოლოს პრესამაც დადებითად შეაფასა მისი ოსტატური, ემოციური თამაში.

„შამილი“ — სინო კალანდარიშვილისთვის შემთხვევითი როლი როდი იყო. მისი მსახიობური ამპლუა ძირითადად ამ სახემ განსაზღვრა. სამშობლოზე, თავის ხალხზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანები გახდა მისი სცენური გმირები. მან დამაჯერებლად აამეცყველა სხვადასხვა დროისა და ბიოგრაფიის ცნობილი ადამიანები, ღირსეულად წარმოსახა მრავალი დადებითი პერსონაჟი. (აკ.გენაძე, „საბჭოთა ხელოვნება“, გვ.49, 1966წ.)

მეფე ოიდიპოსის როლში იგი მაყურებლის წინაშე წარმოდგა კეთილშობილებით, სულიერი მომხიბვლელობით და ღირსებით. მისი შესანიშნავი ხმა, ტემპერამენტი და სულიერი სილამაზე არაჩვეულებრივად ერწყმოდა ანტიკური გმირის ბუნებას.

კალანდარიშვილისეული ქართველი სარდალი გიორგი სააკაძე გარეგნულად თუ შინაგანად ზედმინევნით შეესიტყვებოდა გმირის სახეს. შესანიშნავად გამოძერწა აქტიორმა ბრძენი, მტკიცე ნებისყოფის მხედართმთავარი, თავისი ხალხისა და სამშობლოს ბედ—იღბალზემოფიქრალი ტანჯული მამა, შორსმჭვრეტელი მოაზროვნე, მკაცრი და სამართლიანი.

მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა მორიგმა სახასიათო როლმაც. არსენა მარაბდელის პორტრეტით მსახიობმა შთამბეჭდავად წარმოგვიდგინა მისი

გლესური უბრალოება, სისხარტე, ვაჟკაცური ბუნება, მშვენივრად ყველა სცენაში წარმოჩნდა უშიშარი, ფხიანი რაინდი სახალხო მოძრაობისა. ეს როლი უაღრესად ახლობელი და საყვარელი აღმოჩნდა მაყურებლისთვის.



ბრმა ალექსანდრე — ოიდიპოსი — ფილიპო —

*მ. ქორიანის "ბრმა მუსიკოსი", "ოიდიპოს მეფე",
კ.გოლდონი — "საპატარძლო აფიშით".*



ფიგარო — როდიონ გავაშელი —


„ფიგაროს ქორწინება“, „ჩადირული ქვები“.



გიორგი სააკაძე ოთარ ბეგი საბა ბერი — „ლალატი“



როდიონ გავაშელი — „პირადი საქმე“ ჯემალი — „ჩადირული ქვები“



არჩილი — „მარტოხელა“ როდიონ გავაშელი — „პირადი საქმე“ „ადამიანის ღირსება“



კაკუტა—„ყვარყვარე თუთაბერი“ არჩილი—„მარტოხელა“



აბდულ —შაჰილი —„ბაში-აჩუკი“ ჯემალი —„ჩაძირული ქვები“, არსენა— „არსენა მარაბდელი“

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი, სცენიური კოლეგა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლადო ცხვარიაშვილი ასე ახასიათებს კოლეგას: „ბატონი სინოს ამპლუა მუდამ დადებითი გმირი იყო და არსენას როლის განსახიერებით უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელზე. ეს როლი სინოზე უკეთესისთვის ვისთვის უნდა მიეცა რეჟისორს? გვყავს კი ვინმე ეგეთი ტანად მშვენიერი, მოქნილი, ტემპერამენტიანი და ბუბუნა ხმით სმენის დამატკობელი? ამბობდა მისი მასწავლებელი პავლე ფრანგიშვილი.

სინოს ერთი გამოკვეთილი თვისება ჰქონდა, გაცნობისთანავე ახლოს მიგიშვებდა, დარბაისლურად გამო-

გელაპარაკებოდა. ეს იერი მან ყველა დადებით გმირში ნაირგვარი ნიუანსებით ჩააქსოვა, მის მიერ განსახიერებული სცენური სახეებით გულმოდგინედ გადმოგვიშალა ქართველი კაცის სულიერი სამყარო, დაგვანახა მისი ჭირი და ლხინი, ეროვნული მეობის შესანარჩუნებლად მებრძოლი ადამიანების ჭეშმარიტი სულისკვეთება.’’

გორის თეატრში აქტიორულ საქმიანობასთან ერთად რეჟისორულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი რეჟისორ პავლე ფრაგიშვილის ასისტენტი იყო და არც ერთი დავალების შესრულებას არ თაკილობდა. მისი პირველი დამოუკიდებელი რეჟისორული ნამუშევარია ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში’’, რომელიც დიდი ინტერესით და მოწონებით მიიღო მაყურებელმა.

1948 წლიდან სინო კალანდარიშვილი სათავეში ჩაუდგა გორის თეატრს, არც მსახიობობისათვის დაუწეობია თავი და არც რეჟისორობას უშინდებოდა. ჩინებული დირექტორი და ორგანიზატორი ყველა საქმეში წარმატებული იყო, რაშიც დიდად ეხმარებოდა მრავალმხრივი ნიჭი და მგზნებარე ენთუზიაზმი.



გიორგი ერისთავის სახელობის გორის თეატრის მსახიობთა დასი თბილისში. მარჯვნიდან პირველი რესპ. დამსახ. არტისტი შალვა ხერხეულიძე, ცენტრში — თატრის დირექტორი — სინო კალანდარიშვილი, მარცხნიდან მეორე, რესპ. დამს. არტისტები: შურა მაჭავარიანი, ქეთო ბოჭორიშვილი.

1951 წელი.

გორში სინო კალანდარიშვილის შემოქმედებითი საქმიანობა ასე შეუფასებია დრამატურგ იონა ვაკელს: „სინო კალანდარიშვილი საკმაოდ ცნობილია საერთოდ და კერძოდ, ჩვენი მშობლიური ხელოვნების მუშაკთა შორის. პირველად მან, როგორც ხელოვანმა, ფეხი აიდგა გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრში. სინო კალანდარიშვილი აქ იყო არა მარტო მსახიობი, შემსრულებელი, თეატრის დირექტორი, არამედ იყო თეატრის წარმმართველი, კოლექტივის სული და გული. თუ გორის თეატრს რეჟისორ ნიკო გოძიაშვილის შემდეგ მხატვრული თვალსაზრისით რაიმე ღირშესანიშნავი შეუქმნია, ეს სინო კალანდარიშვილის მოღვაწეობის პერიოდში მოხდა და აღნიშნული წარმატებები მისი მრავალმხრივი გარჯის შედეგი იყო“ (ი.ვაკელი. გაზ. „ახალი კოლხეთი“ 1966 წ. ქ.ფოთი).

1941—1945 წლებში, ფაშისტურ გერმანიასთან ომის დროს ქართველი მსახიობები მტერზე გამარჯვების რწმენით აღავსებდნენ დაჭრილ მეზრძოლებს და მოსახლეობას ფსიქოლოგიურად ამზადებდნენ მტერზე მამაცური და თავგანწირული ბძოლისათვის. ომანიანი სიმღერა და კეთილი სიტყვა ძალ-ღონეს უათკეცებდა მათ. იმ დროს განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სინო კალანდარიშვილმა. იგი სამხედრო საშეფო მუშაობის ენთუზიასტი იყო და მრავალი მედალიც დაიმსახურა.

გორში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა მამაჩემის ცხოვრებაში. სწორედ აქ გაიცნო მან სილამაზითა და ზნეკეთილობით გამორჩეული ეთერ ლეკიშვილი. დედაჩემი მაშინვე მოიხიბლა თურმე მისი რაინდული ბუნებით და 16 წლისამ თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა მამას. მიზანსწრაფულმა გოგონამ ოჯახის გაძლოლაც შეძლო და სწავლის გაგრძელებაც — ფილოლოგის სპეციალობას დაეუფლა, მუშაობდა სხვადასხვა სამურნეო საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. წერდა ლექსებს, შესანიშნავად უკრავდა ფორტეპიანოზე. დედა იყო მეუღლის პირველი შემფასებელი, ყველა საქმეში მხარში ედგა და მასთან ერთად ერთგულად და შეუპოვრად გაიარა არცთუ იოლი ცხოვრების გზა.



სინო კალანდარიშვილი
1940 წელი, ქ. გორი.



მეულლე — ეთერ ლეკიშვილი
1940 წელი, ქ. გორი

1954 წლიდან, როგორც ნიჭიერი ხელოვანი და ორგანიზატორი, სინო კალანდარიშვილი ქალაქ ფოთის დრამატიული თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად მიავლინეს. იგი 25 წელი ედგა სათავეში ფოთის თეატრალურ კოლექტივს, როგორც ღირსეული ხელმძღვანელი.



სინო კალანდარიშვილი — 1954 წელი,
ფოთის თეატრის დირექტორი.

იმხანად ფოთის თეატრს შესანიშნავი დასი ჰყავდა, მათ შორის გამოირჩეოდნენ: ვლადიმერ კუცია, ქეთევან კოლხიდელი, რიმა მამაჯანოვა, მერი აბაშიძე, ლუბა უგულავა, ალიანდრა ხოფერია, ტუნა თვალთვაძე, ჟუჟუნა ჩხეიძე, ლენა ლომია, ნინა პანაიოტი, აკაკი დობორჯგინიძე, არჩილ გომიშვილი, ალექსანდრე შონია, გიგა ებრალიძე, დავით მელქაძე, გოგილო ყურაშვილი, ოთარ მირცხულავა, რეზო ქინქლაძე, ანდრო მშვენიერაძე, ბიძინა ქუთათელაძე, პუჭკა კოსტავა, ბორის თოფურიძე, რეზო ბარამიძე. სწორედ მათი ხელმძღვანელობა დაევალა უკვე საკმაოდ გამოცდილ თეატრალ სინო კალანდარიშვილს. ცხადი იყო, რომ იგი თავისი შემართებით, მუშაობის სტილით უთუოდ წინ ნასწევდა კოლექტივის შემოქმედებას და უფრო გააღრმავებდა ყოფილი დირექტორების და რეჟისორების — ნიკო გოძიაშვილის, თეიმურაზ ლორთქიფანიძის, გიორგი გაბუნიას და გედეონ ნავროზაშვილის მიერ დამკვიდრებულ მდიდარ ტრადიციებს.



სინო კალანდარიშვილი, მსახიობები: ალიანდრა ხოფერია და ვლადიმერ კუცია — რესპ. დამს. არტისტი.



*განუყრელი მეგობრები, რესპუბლიკის დამს. არტისტები:
აკაკი დობორჯგინიძე, სინო კალანდარიშვილი,
გიგა ებრაღიძე.*



*1958—59 წ. თეატრალური სეზონი. პირველ რიგში რესპ.დამს.
არტისტი რეზო ქინქლაძე, რესპ.დამს.მხატვარი—გიორგი მი-
ლორავა, მეორე რიგში —მსახიობი ნინა კორძახია, ცენტრში
სინო კალანდარიშვილი ფოთის თეატრის დირექტორი, ხელ-
მარცხნივ—რესპ.დამს. არტისტები: ფუჟუნა ჩხეიძე, აკაკი
დობორჯგინიძე, გოგი ყურაშვილი, ალექსანდრე (საშა) შონია,*

ხელმარჯვნივ — რესპუბლიკის დამს.არტისტები — ვლადიმერ კუცია, რიმა მამაჯანოვა, გიგა ებრალიძე, მსახიობი — ლეო პარფენოვი, მესამე რიგში — რესპ.დამს. არტისტები — ევგენია გვაზავა, ოთარ მირცხულავა, ლენა ლომია, ტუნა თვალთვაძე, ანდრო მშვენიერაძე, ტექნიკური რეჟისორი — ალინი გვიჩია.



ფოთის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი. მარცხნიდან მარჯვნივ: რესპ.დამს. არტისტები; ბიძინა ქუთათელაძე, აკაკი დობორჯგინიძე, დავით მელქაძე, გიგა ებრალიძე, ლუბა უგულავა, ოთარ მირცხულავა, საშა შონია, ტუნა თვალთვაძე, ანდრო მშვენიერაძე, რეზო ქინქლაძე. მსახიობები ნინა

პანაიოტი, ანზორ გვაძაბია. ცენტრში თეატრის დირექტორი სინო კალანდარიშვილი და რესპ. დამსახურებული არტისტი ვლადიმერ კუცია დირექტორის მოადგილე. 1956 წელი.

სინომ აქაც აამოქმედა ნაწრთობი ორგანიზატორული ტალანტი და ახალი ენერგიით დაძრა კოლექტივი შემოქმედებითი შრომისა და წარმატებების მოპოვებისაკენ უახლოეს თვეებში შეძლო, დაენერგა დასში მისეული გუნდურობა, გაამრავალფეროვნა რეპერტუარი, დააჩქარა სპექტაკლების დადგმის ტემპი, აამალლა ხარისხი. გაიზარდა ფინანსური შემოსავლებიც, რამაც ხელი შეუწყო ადგილზე სპექტაკლებისა და მეზობელ რაიონებში გასტროლების სიხშირემ. ორგანიზაციული საკითხების მოგვარების პარალელურად სპექტაკლების დადგმისთვისაც იცლიდა. განსაკუთრებით მოეწონათ მაცურებლებს მისი ხელწერა უზადოდ განხორციელებულ სპექტაკლებში: ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, იონა ვაკელის „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“, „შამილი“, როდიონ ქორქიას „ნიკო ნიკოლაძე“, ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“.



ფოთის თეატრის მსახიობები 1958—59 წ. თეატრალური სეზონი. რესპ.დამს.არტისტები: ლენა ლომია, გიგა ებრალიძე, გოგი ყურაშვილი, ვლადიმერ კუცია, რესპ.

დამს. მხატვარი გიორგი — მილორავა. ცენტრში — სინო კალანდარიშვილი.


მე, რა თქმა უნდა, ყველა სპექტაკლის პრემიერას ვესწრებოდი ფოთის თეატრში, რამაც დამარწმუნა მამაჩემის ნიჭიერებაში. მან სიჭარმაგეშიც არაერთი მხატვრული სახე წარმოაჩინა თეატრალურ დადგმებში თუ ეკრანზე. დღესაც ახსოვთ ფოთელ მაყურებლებს მის მიერ განსახიერებული აბდულ შაჰილი სასცენო დადგმაში „ბაში აჩუკი.“ გაიუსი „გაიუს გრახკში“, მიტრო ჩაბანაშვილი წარმოდგენიდან „ გადასასვლელი“. კინოფილმ „მამლუქი“ უზადოდ დახატა თურქული ხომალდის ანძაზე ჯაჭვებით მიმბმული, სამეგრელოდან გასაყიდად გატაცებული გოლიათური აღნაგობის ტყვე.



ეპიზოდი კინოფილმიდან „მამლუქი“ (1957 წელი)

მისი განხორციელებული დადგმები აღსავსე იყო სიახლეებით, ორიგინალურობით. თუ თვალს გადავაფლავებთ დაუდგრომელი ხელოვანის ნამოღვაწარის შესახებ გამოქვეყნებულ რეცენზიებს, აღტაცება შეგიპყრობთ. ჭეშმარიტი მაღალი ოსტატობით დადგა მან პიესა „ხევისბერი გოჩა“. მაყურებელს გულს უგმირავდა ძიძიაზე გამიჯნურებული ონისეს მიერ მტერთან ბრძოლის ჟამს სიფხიზლის სავსებით მოდუნება, მეზრძოლისათვის დაკისრებული მოვალეობის გადავინწყება, ამის

გამო მონინაალმდეგის მიერ ონისეს თანამებრძოლების ამოჟლეტა და ამ ბრძოლის მარცხით დამთავრების შემდეგ უბედურების მოწმე მამის—გოჩას უკიდურესად გაგულისება და დამნაშავე შვილის ხანჯლით განგმირვა. აღნიშნული დადგმა ქალაქ ქუთაისის სცენაზე გამართული გასტროლის ჟამს მქუხარე ტაშით დააჯილდოვა ფეხზე მდგარმა მაცურებელმა.




კომიკურ ჟანრშიც არანაკლებ ნარმატებული იყო. დასაწყისიდან ბოლომდე მაცურებლის გულიანი ხარხარი გასდევდა სინოს მიერ დადგმულ დრამატურგ ნიკოლოზ არეშიძის კომედიას—„მიზის“.



სპექტაკლში „რაც არ გერგება, არ შეგერგება“— (ნ.არეშიძე) რეჟისორმა კარგად მიაგნო პიესის ძირითად ხაზს და შექმნა მხიარული, ჯანსაღი სპექტაკლი. პიესაში სატირული ფორმით იყენენ განკიცხულნი უღირსი ადამიანები, რომლებიც გაურბიან სასარგებლო შრომას და თაღლითობით ცდილობენ მოიპოვონ პირადი ბედნიერება.

(კ.კვიციანი, გაზ. „სტალინელი“, ქუთაისი 1957 წ.)



„შამილი“ ჩვენი

საქონის მიხედვით მარტოვე იყო...
 დასაქმებული იყო...
 დასაქმებული იყო...
 დასაქმებული იყო...

თეატრი

საქონის მიხედვით მარტოვე იყო...
 დასაქმებული იყო...
 დასაქმებული იყო...
 დასაქმებული იყო...

სამუდამოდ დარჩა ფოთელი მაცურებლის მეხსიერებაში სინოს მიერ დადგმული ი.ვაკელის პიესა „შამილი“, სადაც ნათლად იყო ნაჩვენები დაღესტნელი ხალხის ცხოვრება, ძლიერი სული, მისი გმირული ბრძოლები თავისუფლებისაკენ. სპექტაკლის მხატვრულ მხარეს აგვირგვინებდა მხატვარ კოტე კვალიაშვილის დეკორაციები.



სპექტაკლი „შამილი“ (ი.ვაკელი) პრემიერის შემდეგ. დადგმა — სინო კალანდარიშვილის, (მარჯვნიდან მესამე) შამილის როლში რესპ.დამს. არტისტი გიგა ებრალიძე. (მესამე რიგში ცენტრში). მეორე რიგში რესპ. დამს. არტისტები: ალექსანდრე...

ტრიოტთა საგმირო მოქმედებანი საქართველოში რუსთა ბატონობის ხანაში, ქალაქის თავის, ნიკო ნიკოლაძის, დიპლომატიური სვლების ამსახველი პასაჟები. იმჟამად საქართველოზე გადამტერებული ლეკები ცდილობდნენ, გაეძარცვათ ზღვისპირა ქალაქი ფოთი და აენიოკებინათ მოსახლეობა. ნიკო ნიკოლაძე რუსეთის მთავარსარდალ ალიხანოვ— ავარსკის დაემუქრა ფოთში მყოფი უცხო ქვეყნის ვაჭართა გადამტერებით, თუ ლეკები დაარბევდნენ და გაძარცვავდნენ პორტს, მაშინ უცხოელი დამქირავებლები აუნყებდნენ თავიანთი სახელმწიფოების მეთაურებს სარდალ ავარსკის თავხედობის ფაქტს, ხოლო ამით გაგულისებული რუსთ ხელმწიფე სამაგალითოდ დასჯიდა თავის თავგასულ სარდალს. ამ მუქარით დამფრთხალი ალიხანოვ —ავარსკი კუდამოძუებული გაიქცა ფოთიდან.

ნიკო ნიკოლაძის როლს ასრულებდა ფოთის თეატრის წამყვანი მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი გიგა ებრალიძე. მისი ოსტატობით მოხიბლულმა ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილმა—რუსუდანი ნიკოლაძემ მამისეული ძლიაპითა და ხელჯოხით დააჯილდოვა ნიჭიერი ხელოვანი. (გ.ქელბაქიანი, გაზ. კომუნისტი, 1967წ. 21 ივლისი)



ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილი რუსუდანი და ნიკოლაძის როლის შემსრულებელი რესპუბლიკის დამსახურებელის არტისტი გიგა ებრალიძე. (1966 წელი)

სპექტაკლი „მე ვხედავ მზეს“ (ნოდარ დუმბაძე, გ.ლორთქიფანიძე) გამოირჩეოდა კარგად მოფიქრებული მიზანსცენებით, რიტმითა და ტემპერამენტით, მსახიობების მიერ როლების შესანიშნავი შესრულებით (გ. ქელბაქიანი, გაზ. „კომუნისტი“, 1967 წ.).

მრავალმხრივმა შემოქმედმა დრამატურგიაშიც მოსინჯა თავისი ძალა. ცალკე უნდა აღინიშნოს მისი პიესა „ადამიანის ღირსება“ (რეჟისორი — რობერტ ქართველიშვილი), სადაც მთავარი როლის შემსრულებლადაც თავადვე მოველინა საზოგადოებას.

„ადამიანის ღირსება“ (ავტორი სინო კალანდარიშვილი) თავისთავად მეტად საინტერესო ამბავს ეხება და ბევრი საჭირობოროტო საკითხია წამოჭრილი. პიესაში მზის სინათლეზეა გამოტანილი ცხოვრების თითქმის ყველა მხარე. აქ სიყვარულიც არის, სიძულვილიც, ბოროტებაც და შურიც, გაუტანლობა და ათასგვარი ხრიკი, რაც მთავარია, დიდი ბრძოლა ადამიანური ღირსების მოსაპოვებლად. სპექტაკლის ზემოქმედებას ეფექტს მატებდა კარგად მოფიქრებული და ოსტატურად დამუშავებული პროლოგი. აღნიშნული პიესა წლების განმავლობაში იდგმებოდა ფოთის თეატრში (გაზ. „კომუნიზმის სხივი“, 1957წ.).

ფოთში სინო კალანდარიშვილის მოღვაწეობის პერიოდს გარკვეულწილად დაემთხვა მსგავსი დაწესებულებების საქმიანობის საერთო სიძნელეები, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ პერიფერიული თეატრების შემოსავლები ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებებს. პერიფერიების თეატრებს „ხალხში გასულ თეატრებს“ უწოდებდნენ, რადგან ისინი წარმოდგენების უმრავლესობას სასოფლო კლუბებსა და კულტურის სახლებში მართავდნენ, ხანაც პატარა თეატრად მოიხსენიებდნენ, მაგრამ თუ მათი მოღვაწეობით ვიმსჯელებთ, ეს სახელი სულაც არ შეეფერებოდა მათ. ისინი დიდ სახალხო საქმეს აკეთებდნენ, ყოველ სეზონში 7—8 ახალ წარმოდგენას დგამდნენ, როცა დედაქალის თეატრი 2—3 პრემიერის ჩვენებას ძლივს ახერხებდა. თუმცა მათი მუშაობის პირობები მნიშვნელოვნად უკეთესი იყო. ფინანსური

შოთის სხალდნიშო თაჯარის გასკოლები ახალაში

მეფისტოს წყნა რაობის...
 სავაჭროლოდ ეწეო დოაიპ...
 სხელწიფო თეატრის კოლე...
 გტოი, რაიწილად ეკვერდ...
 მეფეობელს უწყენა მ სპეტ...
 ტელა, თიფის ყილა წარ...
 მოდენს დადგმა იკეთენის...
 რესპუბლიკის დამსახურებელ...
 პრეტისტს რომერტ უბიფი...
 დაწვილს. პირადობრ უწდა...
 იოქეს, რომ ფოთის თეატ...
 რის ყილა დადგმა წყენა...
 მეფეობელმა მოწონა და...
 გულთბილად მიიღო.

თეატრის სავაჭროლო
 სპექტაკლებიდან განსაკორი...
 ნით გამოიშინებოდა ს. კლან...
 დარიწილის ზეის ადამიანის...
 ღირებუა (დადგმა რ. კარბე...
 დიწვილს). წყენა აქედან ფ...
 წყებო. სამბელო ოთხი შიპ...
 სხანგ დღეებია... მატეა წინ...
 მოაწიფდა... სამქოთა კოლე...
 ნიქას მეფედითა უცეფა უბრა...
 სამქოთა ხელის სავაჭროლო...
 გამარჯვება—მეფე იყო მის...
 დეიზი. შატრის... უცენმა...
 დღატობი მოქალა სამქოთა...
 თეატრის თეატრი და თეატრი...
 ბიარალი თეატრალი, მქოთ...
 დანებდა. ასე თსწენა პიქს...
 ადამიანის ღირსება. თე...
 გვახ ნამდვილო სამქოთა პ...
 ტობიკთა, შრომისმოყვარე...
 და პეშინატი. იგი გმობი...
 დრომტუფად და ზურგნი...
 ეს შეიკრება სხე კარგად...
 გახსნა მსახობმა გ. ებრალო...
 ტემ. მეფეობელმა მას ყოველ...
 წყენაგარ მომენტში ტამბო...
 ავიღოდაც. წყენაწინაყო...

... გიიფეო...
 ... მისი სკულრა დეფიზი...
 ... აბორეც, არ დანდო ადამი...

შემოსავლების გაზრდისთვის საჭირო ხდებოდა ხშირი გასტროლები. ზოგჯერ მსახიობებს 100 კილომეტრის გავლა ფუჭად უხდებოდა გასვლითი სპექტაკლის ჩასატარებლად. მივიდოდნენ სოფელში და... სოფელს კარგი კაცი მოკვდომია — მთელი სოფელი ჭირისუფალი იყო, დარბაზი კი — ცარიელი. თეატრს სიცოცხლე სჭირდებოდა, ცხოვრება უნდოდა, რაც უდოტაციოდ ძნელი იყო. აი, აქ იყო საჭირო დირექტორის ფხა, ორგანიზატორული უნარი, რომ თეატრს ეცოცხლა. სინო

კალანდარიშვილიც შესანიშნავად ართმევდა თავს ამ საქმეს. იგი უნარიანად ხელმძღვანელობდა ფოთის თეატრის შემოქმედებით დასს, კოლექტივის ენთუზიაზმის გაღვივებით ახერხებდა შემოსავლების გეგმების შესრულებას. საქართველოში იშვიათად იყო კუთხე, სადაც სინო კალანდარიშვილს არ იცნობდნენ. უდოტაციოდ მუშაობა, ცხადია, ზოგჯერ საქმეს აფერხებდა, მაგრამ საჭიროების ჟამს სინოს შეედლო იდეების ძიება და მომარჯვება. მან ოსტატურად გამოიყენა ერთი ხელსაყრელი გარემოება. საქართველოში ერთ-ერთი საკავშირო დეპუტატის არჩევის დროს ჩვენს მოქალაქეებს შეხვდა მოსკოვიდან ჩამოსული კანდიდატი ხრუნიშჩევი. მისი შუამდგომლობით საკავშირო კულტურის სამინისტროს მოთავე ქალბატონმა ეკატერინე ფურცევამ ფოთის თეატრს საგასტროლოდ შეუძინა „ყუბანის“ ტიპის ავტობუსი. მას მოჰყვა დარბაზისთვის სავარძლები, მოსკოვის დიდი თეატრის ასლი ქალები, გახმოვანების საშუალებები. აღნიშნული საკითხების მოსაგვარებლად ქალაქ მოსკოვს არაერთხელ თავადაც ესტუმრა.

მარტოების ბრძოლით

იქნის ამ დღეს გადობი
 ა ფოთის სახელმწიფო
 იტელი თეატრის გას-
 ლები ეკატრის რაიონში.
 უბოლო წარმოდგენებდ
 ნებ იქნა აღ. უმზუფას
 ბერის ფინა". ს. კალან-
 დარიშვილის „აღმამიანის
 „ გო. ბრძენისეილ-
 აი შეწისქეაღე". აღ.
 ქადაღს „კატოსანების-
 „ ნ. ანუწამის „შხა“ და
 შეტრემეღში სქქტა-
 გელუბილად სოლო და
 იქნა შესრულების შეღ-
 ავაება წასცა.
 ი კოლექტივის თაიფე-

და შეჯრის სერვალი იყო
 ლეხმეღელ შეფერხებათათვის
 კრეკნებინა თაიფათი შემოქმე-
 დებთაი წამეშეჯრა, ფაქსა
 გრანობით შეფერხებუღიდა
 ცავერში სავასტროლოდ და
 უბოღე-ი მასუბინამგებლობით
 შეღადებოდა უფნობ წაღურ-
 ბელთან შეტეღრას. მხოლოდ-
 ნი გამაროღდა. გასტროლე-
 ბის დაწეება. ღლიდან ფა-
 მლობოდა ეკატრის რაიონის
 ხელმძღვანელი ამხანაგების, ე-
 კატრინე ფურცევამ და მისი
 ნაგებობის მატეგა. ე
 წყუბანის შეტეღ-

ღვენე წაიწყო აგობე-ე
 ტეხია მთიომში და ეკატ-
 კოლექტივ-მეღბენი. ეამ
 რებთ რა წვენს სავასტრო-
 მეწომბის ცავერში, არ შე-
 ძლია თქენი გახუბის სავ-
 ლეზით უღრმესი ხმღლი
 გრანობა არ ეამოცეკვათ
 ომის ხელმძღვანელი ამან
 ხაიღში და წაგურებულ-
 დმა, რომეღმეღე ეკოლად
 გააღეს, რათა წეხი
 ტროლეგმა წარმატებთა მ-
 რებულეიყო.
 ა. კალანდარიშვილი
 ფოთის თეატრის ხელმძღვანელი



სპექტაკლ „მაია წყნეთელის“ პრემიერის შემდეგ. პირველ რიგში მსახიობები: ოდიშელიძე, ტოროშელიძე, რეზო ბარამიძე, მერი აბაშიძე, ნინა კორძახია. მეორე რიგში—სინო კალანდარიშვილი, ჟუჟუნა ჩხეიძე, თამარ მანავაძე, რესპ. სახალხო არტისტები: ელენე ყიფშიძე და ვასო გოძიაშვილი, ქალაქის კულტურის განყოფილების უფროსი — ნოსრევან ქორიძე. მესამე რიგში მარცხნიდან რესპ. დამს. არტისტები: გოგი ყურაშვილი, რეზო ქინქლაძე, ოთარ მირცხულავა, რესპ. დამს. მოღვაწე, რეჟისორი რობერტ ქართველიშვილი, რესპ. დამს. არტისტი—გიგა ებრაღიძე.

ამ მოუსვენარმა, იდეებით აღსავსე ადამიანმა შეძლო, წლების განმავლობაში ფინანსურად ძნელ პერიოდში შეენარჩუნებინა თეატრი. ადგილობრივი ბიუჯეტის მაქსიმალური გამოყენებით იგი შეუფერხებლად უზრუნველყოფდა სპექტაკლების დადგმას, ხელფასების გაცემას, მატერიალურ—ტექნიკური ბაზის მოწესრიგებას.

ამიტომაც ნერდა ბატონი შალვა კილასონიძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს კულტურის სამინისტროს თეატრების სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკი მასზე: „სინო კალანდარიშვილი 20 წელია ვალერიან გუნიას სახელობის ფოთის სახელმწიფო თეატრის დირექტორია და უნდა ითქვას, რომ კარგი ხელმძღვანელია. მან თეატრისათვის მძიმე პერიოდში,



*გამოჩენილი ქართველი თეატრალეები:
ვ.ყუშიტაშვილი, ნ.გოძიაშვილი, შ.კილასონიძე,
მ.გაბესკირია. (ქ. გორი, 1949 წელი).*

სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის დროს, თავისი მჩქეფარე ენერგიითა და დაულალავი შრომისმოყვარეობით კარგი ტრადიციების მქონე და უნარიანი კოლექტივი სახელმწიფო თეატრის რიგებს შეუნარჩუნა. ამით მან დიდი სიყვარული დაიმსახურა.”

სინო კალანდარიშვილმა სადაც კი იღვანა, ყველგან ნათელი კვალი დატოვა, მის მიმართ, ცხადია, განსაკუთრებით გორსა და ფოთში, სადაც თეატრალური ხელოვნება არნახულ სიმაღლეზე აიყვანა... შედეგმაც არ დააყოვნა!... 1963 წელს ფოთის თეატრს შემოქმედებითი კოლექტივის ნაყოფიერი შრომის შედეგად, ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, სინო კალანდარიშვილის ინიციატივითა და რეკომენდაციით, ცნობილი ქართველი თეატრალური მოღვაწის, ვალერიან გუნიას სახელი მიენიჭა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ღირსების მოხვეჭაში ბატონი სინოს შრომის დიდი წვლილი დევს. ქალაქის ცენტრში, თეატრის გვერდით დაიდგა ვალერიან გუნიას ბიუსტი.



1963 წელი, ფოთის თეატრისათვის ვალერიან გუნიას სახელის მინიჭების ცერემონიაზე ჩამოსული თბილისელი სტუმრები. სხედან მარცხნიდან პირველი — რესპ. სახალო არტისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პავლე ფრანგიშვილი, რესპუბლიკის სახალო არტისტი — ცაცა ამირეჯიბი, ცენტრში თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე — დოდო ანთაძე, რესპ.სახალო არტისტი — თამარ ჭავჭავაძე, რესპ. დამსახურებული მოღვაწეები: ნიკო გოძიაშვილი სინო კალანდარიშვილი. მეორე რიგში: ვალერიან გუნიას შვილიშვილები, ფოთის თეატრის რეჟისორი — რობერტ ქართველიშვილი, კულტურის განყოფილების გამგე — დავით ფირცხალავა. რესპ. დამ. არტისტი აკაკი დობორჯგინიძე.



საბჭოთა კავშირი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უკვე საბჭოთა და გაერთიანებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიაა
ГАСЧОТА АДНАРА ორთა აღმარდისი ობიექტისი და ბუნისკისი ობიექტისი კომიტეტი
კომუნისტი გრუპისი და სოვეთი ადუტატისი ბრუნისკისი აღმარდისი ობიექტისი
№ 96 (10.648) კვირისი 17 გენისი 1959 წ. 20 აპრილი

შემოქმედებითი აჯავალოების გზაზე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უკვე საბჭოთა და გაერთიანებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიაა... (text continues with political commentary)


ფოტოს საბავაწოთი

ღრამბატი თაბატრის

ფოტოს საბავაწოთი... (text describes the photographic work and its significance)

ფოტოს საბავაწოთი... (text continues with details about the photographic process)

ფოტოს საბავაწოთი... (text continues with details about the photographic process)



ფოტოს საბავაწოთი ღრამბატი თაბატრის

ფოტოს საბავაწოთი ღრამბატი თაბატრის
1954-55 წ. ს. მ. მ. მ.

| | |
|-----------|---------------------------------|
| მ. მ. მ. | ს. მ. მ. მ. |
| შაბათი | პ. მ. მ. მ. |
| 30 ივლისი | ბ. მ. მ. მ. |
| გორაკი | მ. მ. მ. მ. |
| 31 ივლისი | უფსკრულთა |
| მარშაბათი | მ. მ. მ. მ. |
| 1 აპრილი | თქველაბა რიარ მემორიალუა |
| საშაბათი | პ. მ. მ. მ. |
| 2 აპრილი | ბ. მ. მ. მ. |
| ოთხშაბათი | მ. მ. მ. მ. |
| 3 აპრილი | გადასასვლელუ |

თაბატრის რედაქციისი ს. კარდინისი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უკვე საბჭოთა და გაერთიანებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიაა... (text continues with political commentary)

სინო კალანდარიშვილის ღვანლის დაფასება იყო ის უმნიშვნელოვანესი ფაქტი, რომ 1966 წლის 2 აპრილს, კულტურის სამინისტრომ და ქალაქის საზოგადოებამ მისი დაბადებიდან 50 და სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე აღნიშნა. ადგილობრივმა საზოგადოებამ, დედაქალაქის კულტურის მოღვაწეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ღონისძიების მომზადებაში. ფოთში ამ საღამოს ესწრებოდნენ ცნობილი ქართველი მსახიობები: ვასო გოძიაშვილი, ემანუელ აფხაიძე, გიორგი სალარაძე, სტიფანე ჯაფარიძე, გიორგი სალარიძე და ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ იუბილარის სიყვარულსა და პატივისცემაში. რესპუბლიკის უმაღლესმა ელიტამ მაღალი შეფასებები მისცა იუბილარის ღვანლს.

ავადმყოფობის გამო საღამოს ვერ დაესწრო თაყვანისმცემელთა კუმირი აკაკი ხორავა და იგი სინოს წერილით მიესალმა:

„საყვარელო და ძვირფასო ადამიანო! დაგპირდი და ვერ მოვდივარ შენს დღესასწაულზე... ვერ ვარ კარგად. ვფიქრობ მაპატიებ.

ჩემო ძმაო, სინო!

მართლაც რომ ღირსი ხარ სიყვარულისა და პატივისცემის! გისურვებ ჯანმრთელობას, კვლავაც დიდ ენერგიას, შენი საყვარელი ხელოვნების სადიდებლად. გეხვევი და გკოცნი ძმური სიყვარულით!

ჩემს ვაშას ვუერთებ საზოგადოებრივ აღფრთოვანებას.

შენი მოსიყვარულე და პატივისმცემელი — ხორავა.



ს. კალანდარიშვილის შემოქმედებითი სჯავი



ალპინის საზოგადოებრიობის, დედაქალაქისა და სხვადასხვა რაიონების კულტურის დარგისა და თეატრების წარმომადგენელთა მონაწილეობით, გასულ შაბათს, ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრში აღინიშნა ამავე თეატრის დირექტორისა და რეჟისორის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის სინო ლუკასაძე კალანდარიშვილის დაბადების 50 და სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავი.

იუბილარისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი სჯავი უსხავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კვ ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ან. ი. გიგინეიშვილმა. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ის ახსენებები, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ საღამოში, მათ შორის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე პ. იაკაშვილი.

სინო კალანდარიშვილის ცოცრებისა და სასცენო მოღვაწეობის განვლილი გზის შესახებ მოხსენებით გამოვიდა თეატრმოღწე მ. კიპნაძე.

რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს სახელით გამოვიდა და იუბილარს ადრესი გადასცა ამავე სამინისტროს თეატრებისა და მუსიკალურ დაწესებულებათა სამმართველოს უფროსის მოადგილემ შ. კილაშვილმა.

შემდეგ გამოვიდა სტუმრები და ადგილობრივი ახსენებები, რომლებიც გულთბილად მიხსალმებთან ს. კალანდარიშვილის, რესპუბლიკის თეატრალური საზოგადოებისა და კ. შარჭინაშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სახელით — სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. გომეზაშვილი, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სახელით — რესპუბლიკის სახალხო არტისტები ი. ბუხნიძე, მ. სალარაძე, ს. ჯაფარიძე, მწერალთა კავშირის სახელით — დრამატურგი ი. შატაშვილი, ვ. ავაშიძის სახელობის მუსიკალური კომპლექსის თეატრის სახელით — რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. სალარაძე, მწერალი პ. ჯიშვილი, წარმომადგენლები ბათუმიდან — მას. ს. ბ. მებრევიძე, თელავიდან — მთავარი რეჟისორი ნ. დიხაძე, გორიდან — მასხიბი, ბ. შურაღველი, ლანჩხუთიდან — რაიონული გაზეთის მ/მ. მდივანი პეტრე რ. ლორია, ზუგდიდიდან — თეატრის დირექტორი ალ. მგებინა, ახალციხიდან — კულტურის განყოფილების გამგე ზ. სანიშაძე, ხობიდან — კომპაზიტორი რაიკომის მუშაკი ვ. ვანიანი.

პარტიის საქალაქო კომიტეტისა და საჯარო საბჭოს აღმასკომის სახელით მიხსალმა და ადრესი გადასცა პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. ლაპიძემ.

ქალაქის მუსიკალური საზოგადოების, კულტურის დარგის, ინტელიგენციისა და მსხრავლ ახალგაზრდობის სახელით გამოვიდნენ წმლოყნების დამსახურებული მოღვაწე მ. ხაბთაძე, პედაგოგი და ლიტერატურ. ხმობაძე, მასწავლებელი ვ. შატაშვილი და მეზ. ს. სკოლის მოსწავლე ვ. ხასიანიძე.

ს. კალანდარიშვილის დაბადების 50 წლისთავის აღსანიშნავად დასრულდა მისი სახელობის სახელმწიფო თეატრის სახალხო არტისტების კონკერტული გამოსვლა.

ს. კალანდარიშვილის დაბადების 50 წლისთავის აღსანიშნავად დასრულდა მისი სახელობის სახელმწიფო თეატრის სახალხო არტისტების კონკერტული გამოსვლა.

დირექტორი კალანდარიშვილი
 თეატრის სახელმწიფო თეატრის სახალხო არტისტი
 2 სენო 1936 წელს
 (ს. კალანდარიშვილი)
 უსტრუქტორი
 ТВОРИТЕЛЬНЫЙ ВЕЩЕР.
 შექმნა (სენო) კალანდარიშვილი
 ქალანდარიშვილი
 ქალანდარიშვილი
 7 წელიწადი
 1936 წელს



ყველას გეხსარებს, ძალას გემაგებს



ასტროლოგების დაწვების წინ პრესისა და რადიო-ტელევიზიის კორესპონდენტები ტიხონის საუბარში განაცხადებენ, რომ ჩვენ არ ვფიქრობთ განვაცვიფროთ თბილისელები თეატრალური ხელოვნების ახალი სიტყვით, მაგრამ შევეცდებით, რომ დედაქალაქში ჩვენი შემოქმედება მოეწონოს და ადამიანსოვრად იყოს.

მიზანდასახულობა გამართლდა — დედაქალაქის კ. მარტანიშვილისა და შ. რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრების ბრწყინვალე სპექტაკლებზე აღწრდით და განხებიერებულ მომთხოვნ მსაუბრეებს ჩვენი ნამუშევარი მოეწონა და რვა დღის განმავლობაში აღფრთოვანებით უყრავდა ტაშს დამატურებს, რეჟისორსა და მსახიობთა წარმატებებს. გასტროლებმა, როგორც გამოჩენილი თეატრალური მოღვაწეები და კრიტიკოსები თავიანთ გამოხსენებებში აღნიშნავენ დასვენით, შეაქამებელ დი-სპუტ-გარჩევას, მოლოდინს გადაქარბა, ამის დამადასტურებელია ისიც, რომ გასტროლების დროს მარტანიშვილის თეატრის შენობა მსაუბრელებით იყო გაკედლილი, ხოლო უბილითოდ დარჩენილი ხშირად ნაწყენი პრუნდებოდნენ სალა-როდნა.

ჩვენი თეატრის კოლექტივისათვის ეს იყო სერიოზული შემოქმედებითი გამოცდა და გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მათ ეს გამოცდა კარგად ჩააბარეს და საგანგროლო ისტორიაში ახახელდის როგორც კოლექტივი, ასე ჩვენი ქალაქი.

გასტროლების დროს აღიარებულქენ ახატრის მიერ სწორი სარე-

პერტუარი პოლიტიკა, რომ თეატრის რეპერტუარი მირითადად შედგენილია ქართული ეროვნული პიესებით. ამის გარეშე კი შეუძლებელია თეატრის განვითარება.

ვახუტე „კომუნისტის“ 21 ივლი-სის ნომერში აღნიშნული იყო: თბი-ლისელებს ფოთის თეატრი მოეწო-ნა... დიდი და პატარა როლების წარმოსახვის კულტურით, იმ დიდი შემოქმედებითი დისციპლინისა და



პასუხისმგებლობის გრძობით, რი-თაც გამსჭვალული იყო თეატრის შიელი კოლექტივი დედაქალაქის სცენაზე გამოსვლების მთელ პერი-ოდში.

ასეთი მაღალი შეფასება დედა-ქალაქის გასტროლებზე ბევრ საგა-სტროლო თეატრს არ ღირსებია, ასე გამარჯვებულს არ დაუტოვე-ბია დედაქალაქი.

განსაკუთრებით დიდი წარმატება ხელა პატრიოტულ სპექტაკლს „ნი-

კო ნიკოლაძის“. სწორედ ამ პიესის დადგმა მოეწონა დედაქალაქის რო-გორც კრიტიკამ, ისე მსაუბრეებმა და თეატრის დიდ დამსახურებელ ადირს.

დღიარა ჩვენი კოლექტივის სიბა-რული. ჭერ კიდევ არ არის გავლილი ის შემოქმედებითი მოკრამლება და მდენღარება, რასაც გასტროლების დროს განვიცდებით. გგრძობდით, რომ ჩვენ წარმატებებს სიამაყით აღვივებდა თვალს და კითხილ სუ-რვილებით მუდამ ჩვენთან იყო ჩვე-ნი ქალაქის საზოგადოებრივობა.

ამბობრდა გასტროლები კოლექ-ტივი შევებლებში გაემგავრა. შესვენების შედგ იყვნა ახალი 1987-65 წლის სეზონი, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს ემთხ-ვევა. ამ თარიღთან დაკავშირებით სანტერესო შემოქმედებითი სამუ-შაო გველის. მამინარე წლის ოქ-ტომბერი ქ. თბილისში მოეწონა სასტელწიფო თეატრების დაავლი-რებამზე გამარჯვებული სპექტა-კლების ჩვენება. ჩვენი თეატრის მიერ დედაქალაქში განმეორებით დაიდგება რ. ქორქაის „ნიკო ნი-კოლაძე“, რომელმაც ეთურის მა-ღალი შეფასება მიიღო დათავლიე-რებაზე და გამარჯვებულ სპექტა-კლად იქნა აღიარებული.

ოქტომბრის სათუბლოდ დღისა-თვის ნაჩვენებ იქნება ჩვენი თეა-ტრის საუკეთესო დადგმები. სეზო-ნის პირველ ნახევარში დაიდგება კ. ბერიაშვილის „მხედველები კა-კალი“, შეინინის „გამოცეცული“, კ. მექველიანის „მკდარი ნაბიჯი“, კა-ლდერონის „თაყისთავის დარქა“, ალ. იფენ-სემბათაშვილის „ალა-ბი“. განწარსულია მუშაობა ცნო-ბილი ქართველი პარტიზანის ნეს-ტორ კლანდაიშვილისადმი მიძ-ღვნილი პიესაზე, რომელსაც ადგი-ლომრივე დამწებელი ავტორი აუკი-კარტოზია სწერს. ასეთია ჩვენი მო-მავალი მუშაობის პერსპექტივა.

1967 წელს ფოთის ვალერიან გუნიას სახელო-ბის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი მოღვაწე-ობის ზენიტში იყო — სისტემატიური გასტროლები ქართლსა და კახეთში, რაჭა—ლეჩხუმში, ანშლაგებით გამართული სპექტაკლები გამარჯვებას ნიშნავდა.

ფოთის თეატრის დასს დიდების და ახალი ტა-ლანტების ძიების ხანა ედგა.

თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის სერიო-ზული გამოცდა იყო გასტროლები თბილისში.

ჟურნალისტი თენგიზ რამიშვილი ასე იხსენებს ამ მოვლენას: „1967 წელს ფოთის თეატრი საგასტროლოდ თბილისს ეწვია და ბინა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაიდო.

გასტროლების დროს თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა დიდი ინტერესი გამოიწვია თეატრალური ხელოვნებით განებივრებულ თბილისელ მაყურებელში. ყოველდღე სასწაულები ტრიალებდა თეატრის სალაროებთან, მაყურებელთა რიგები არა და არ შეთხელეებულა... ბილეთები არ იშოვებოდა. ეს კი ყველაფერზე მეტყველებდა. თეატრმა თბილისელებს საუკეთესო სპექტაკლები შეთავაზა. განსაკუთრებით მოწონება ხვდა რ. ქორქიას „ნიკო ნიკოლაძეს“, ნ.დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს“.

სინო კალანდარიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ნიმუშია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ზნემალალი ადამიანი. ვერ იტანდა სიზარმაცეს, უსულგულობას და ყოყოჩობას, უზნეო საქციელს. ავადმყოფურად განიცდიდა ქცევის ნორმების ყოველგვარ დარღვევას. იყო მომთხოვნი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის მიმართ, თავმდაბალი და გულისხმიერი მუდამ მზად იყო თეატრის თანამშრომლების დასახმარებლად. შესაშური პროფესიული და ადამიანური ურთიერთობა ჰქონდა რეჟისორებთან: ვიქტორ მჭედლიძესთან, რობერტ ქართველიშვილთან, სოლომონ ყიფშიძესთან, ოთარ ცერაძესთან, თეატრის დირექტორის მოადგილე ტოგო მირცხულავასთან, რეჟისორის ასისტენტ ალინ გვიჩიასთან, განსაკუთრებული სითბო აკავშირებდა ტექნიკურ მუშაკებთან, სცენის მემანქანეებთან: არჩილ ჭკუასელთან და ბორისო ბახტაძესთან, ელ. გამნათებელთან — ბენია კვარაცხელიასთან, მძლოლ — აქვსენტი ლომიასთან. მასაც უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდნენ ყველა.

სინო კალანდარიშვილი ახალგაზრდების უანგარო მეგობარი იყო და ბევრჯერ ეს საქმიანაც დაუმტკიცებია. განსაკუთრებით უყვარდა ნიჭიერი ახალგაზრდა კადრების წარმოჩენა და პოპულარიზაცია.



სპექტაკლ, „კაცუნების“ (ი.დოლბაია, თ.ჭითანავა) პრემიერის შემდეგ. პირველ რიგში მარჯვნიდან: რესპ.დამს. არტისტი — ლენა ლომია, ცენტრში მსახიობი, პოეტი ჯემალ ჩახავა. ბავშვები: რუსუდან ჭკუასელი. მერაბ კალანდარიშვილი, ზაზა ქინქლაძე (ჟურნალისტი), გია კაჭარავა (რეჟისორი) ცენტრში სინო კალანდარიშვილი, ხელმარჯვნივ პიესის ავტორი — ი.დოლბაია, რესპ.დამს. არტისტები: ნ.მახარაძე, ნ.კობტაშვილი. ხელმარცხნივ — დამდგმელი რეჟისორი — ვ.მჭედლიძე, რესპ.დამს. არტისტი — ლ.უგულავა. მსახიობი — ც.ადეიშვილი. მეორე რიგში მარცხნიდან — მსახიობი — მ.სვანიძე. რეჟისორი — ი.მაცხოვნაშვილი, რესპ.დამს.არტისტი — დ.მელქაძე, პიესის ავტორი — თ.ჭითანავა, მსახიობი — მ.ურუშაძე, სცენის მემანქანე — ა.ჭკუასელი, ელგამნათებელი — ბ.კვარაცხელია. რესპ.დამს. არტისტები; ანდრო მშვენიერაძე, რეზო ქინქლაძე.

აი, რას გვიაშობს ჟურნალისტი იასონ დოლბაია: „ბატონი სინო გახლდათ უნარიანი, დიდებული ორგანიზატორი, რომელმაც კიდევ უფრო დამაახლოვა ფოთის თეატრალურ დასს, შემაყვარა იგი. შემყვანა სამხატვრო საბჭოს შემადგენლობაში და დღემდე თეატრის სიყვარულით და მისი ავ-კარგით ვცხოვრობ. იგი ძალასა და ენერგიას არ იშურებდა, რათა მოწოდების სიმაღლეზე

ყოფილიყო, როგორც სარეპერტუარო პოლიტიკა, ასევე დადგმების ხარისხი. ამისთვის მიმართავდა მრავალ ხერხს - ინვევდა პიესების ავტორებს, სახელოვან რეჟისორებს, მსახიობებს.

მონვეულ რეჟისორებთან თანამშრომლობით ბატონმა სინომ ახალგაზრდა ჟურნალისტებიც გვაზიარა დიდ ხელოვნებას. ჩემი და თამაზ ჭითანავას დანერგილი პიესა „კაცუნები“ მან მხცოვან რეჟისორ პავლე ფრანგიშვილს გააცნო და კიდევაც დადგმევინა ფოთის თეატრის სცენაზე.

საინტერესო და შინაარსიანი იყო ამ გამობრძმედილ ხელოვანთან ურთიერთთანამშრომლობა. მისი მოკრძალებული შენიშვნები გავითვალისწინეთ კომედიის ავტორებმა, დადგმა მუსიკალური კომედიის სტილში წარმართა და მაყურებელი არ აკლდა ქალაქს და პერიფერიებსაც. მხიარული კომედია ორი წელი არ მოშორებია თეატრის სცენას. ჩვენი ნამუშევარი დამოუკიდებლად ფრთებს ვერ გაშლიდა, რომ არა ბატონი სინოს ერთგული თანადგომა. დამწყები ავტორებისადმი მან გამოავლინა მამაშვილური მოპყრობა, ჰუმანური ხასიათი. რომ არა ბატონი სინო, ვინ იცის, ჩვენ ალბათ ვერასდროს შევხდებოდით ისეთ თეატრალურ მოღვაწეს, როგორიც პავლე ფრანგიშვილი იყო და ვინ იცის, ჩვენი პიესაც თუ გაცოცხლდებოდა სცენაზე. ჩვენ მისი მადლიერები ვართ.”



ლერი გაფრინდაშვილი ჭიათურის ულამაზესი სოფლიდან იყო ჩამოსული. ბატონმა სინომ სრულიად გამოუცდელი ჭაბუკი შვილივით შეიყვარა, როგორც ჩანს, მისეული ალლოთი შეიცნო მასში ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა, ამიტომაც მიანდო სპექტაკლში „მე ვხედავ მზეს“ სოსოიას როლის შესრულება. ამ რთული სახის უნაკლოდ დაძლევა არც თუ ისე იოლი იყო, მაგრამ ახალგაზრდა მსახიობმა წარმატებით გაართვა თავია ურთულეს და

საპასუხისმგებლო როლს და ბატონი სინოს ნდობა პირნათლად გაამართლა. იგი 1959—1966 წლებში მოღვაწეობდა ფოთის თეატრში.

სინო კალანდარიშვილის ხელშეწყობით შეძლო ლერი გაფრინდაშვილმა უმაღლესი თეატრალური განათლების მიღება და 1970—1973 წლებში მოზარდ მაყურებელთა მუშაობდა, ხოლო 1973 წლიდან შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი იყო.

დავით ხუბელაშვილი—უპრეტენზიო და თავმდაბალი, მორიდებული ახალგაზრდა იყო, უსაზღვროდ უყვარდა თეატრი. სინო კალანდარიშვილიც აძლევდა შესაძლებლობას მსახიობად ეგრძნო თავი, საშუალება მისცა რამოდენიმე როლი ეთამაშა სცენაზე. მონაწილეობდა ქორეოგრაფიული ნომრების დადგმაშიც. განსაკუთრებით კი მისი ორგანიზატორული ნიჭი მოსწონდა დირექტორს, ამიტომაც მას ადმინისტრატორობა მიანდო. მან ბრწინვალედ გაართვა თავი მოვალეობას და ისე შეესისხლხორცა თეატრს, რომ ისრაელში წასულმა ქართული თეატრალური დასი ჩამოაყალიბა და სიკვდილამდე სიყვარულით იგონებდა სინო კალანდარიშვილს. არ ივინყებდა მის ღვანლსა და ამაგს.



ქალბატონ ეკიხი კალანდარიშვილის ც. მის ღირსებას...
 ზაქონი სინოს პასუხი ხუბელაშვილის.
 მჭივილქმით იქონი ხუბელაშვილი.
 2010 წელი ისრაელი.



სინო კალანდარიშვილი ადმინისტრატორთან — ტოგო მირხ-
ცულავასთან, სცენის მემანქანესთან — არჩილ ჭკუასელთან,
თეატრის დირექტორის მოადგილესთან დავით ხუბელაშვილ-
თან (ცენტრში, ისრაელში ქართული ტეატრალური დასის
ხელი), რესპ. დამს. არტისტებთან ბიძინა ქუთათელაძესთან
და ოთარ მირცხულავასთან ერთად.

ამონარიდი წიგნიდან „ორ ქვეყანას გადანვდენი-
ლი რამპის შუქი“ (დავით ხუბელაშვილი, ტელ—ავივი,
2010წ.): „არასოდეს დამავინყდება ფოთის თეატრში გა-
ტარებული წლები. ფოთის სახელმწიფო თეატრის დირე-
ქტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ჩემი მასწავლებე-
ლი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი
სინო კალანდარიშვილი. იგი თეატრალური ხელოვნების
დიდებულ მცოდნედ ითვლებოდა მთელ საქართველოში.
ბატონ სინოს ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პატი-
ვისცემით ვიხსენებ. მისი ინიციატივით 1962 წელს და-
ვინიშნე ფოთის თეატრის მსახიობად, შემდეგ ადმინის-
ტრატორად, ხოლო 1967 წლიდან მან გამხადა თეატრის
დირექტორის მოადგილედ ადმინისტრაციულ დარგში.

ჩვენ ერთსულოვნად ვმართავდით და ვუძღვებოდით
თითქმის 60 თანამშრომლისაგან შემდგარ კოლექტივს.
ამ წლებს და ბატონ სინოს დიდი მონივნებით და პატი-

ვისცემით ვიგონებ ყოველთვის და მას ჩემს მასწავლებლად მივიჩნევ, ვინაიდან, ამ ბუმბერაზ პიროვნებასთან და დიდ ხელოვანთან გავლილი 10 წელი ჩემთვის ცხოვრების უდიდესი სკოლა იყო, სადაც დღითიდღე იკვეთებოდა და ნათელი ხდებოდა ჩემი დიდი სიყვარული და მიდრეკილება თეატრალური ხელოვნებისადმი, რისთვისაც მის ხსოვნას დიდ პატივს მივაგებ.”

განუზომელი და ფასდაუდებელია სინო კალანდარიშვილის ღვაწლი და ამაგი ახალგაზრდა მსახიობების: ანზორ გვაძაბიას, ლამარა მურადელის, ლია დარსაველიძის, ცისანა ადეიშვილის, ოთარ გუნცაძის, ზაურ ჯანელიძის, ვიოლეტა გურგენიძის, სვეტა მიხაილიძის, ნოდარ მახარაძის, ნოდარ ბჟალავას, შალვა ლიპარტელიანის შემომედებითი დაოსტატებისა და წინსვლის საქმეში.

სინო კალანდარიშვილისთვის თეატრი მუზეუმის ტაძარი იყო!

თეატრში მაყურებელი ცოცხლად ხედავდა ემოციებით დატვირთულ მსახიობებს. აქ მუშაობა დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. მსახიობს უნდა შეესისხლხორცებინათ თავისი გმირი!

რეჟისორს ახალი დადგმები უნდა შეეთავაზებინათ მაყურებლისთვის...

თეატრის დირექტორს კი გეგმების შესასრულებლად და ფინანსური შემოსავლების გასაზრდელად, გასვლითი წარმოდგენები და გასტროლები უნდა ჩაეტარებინათ. სინო კალანდარიშვილი ამ სამ მისიას წარმატებით ითავსებდა. ამაზე მეტყველებს იმ პერიოდის მასალები, რომელიც უხვად იბეჭდებოდა, როგორც ადგილობრივ, ასევე, რესპუბლიკურ საინფორმაციო სამუშაოებებში.

მან მთელი თავისი ცხოვრება თეატრს მიუძღვნა. სწორედ თეატრის უზომო სიყვარულმა ათქმევინა სინოს კინოში რამდენიმე მთავარი როლის შესრულებაზე მტკიცე უარი. ორი შემთხვევის მომსწრე თავად გახლავართ. ეს იყო კინოფილმი „მამლუქი“, რომელშიც რეჟისორმა დავით რონდელმა მთავარი როლის ნაცვლად მაინც გადაიღო ეპიზოდურ როლში და მეორე კი-

ნოფილმი „ნესტორ კალანდარიშვილი“, ფილმის გმირ ნესტორ კალანდარიშვილთან საოცარი გარეგნული მსგავსებისა და გვარიშვილობის გამო მას მთავარ როლს სთავაზობდნენ.

სამწუხაროა, რომ მამამ ვერ გამოიყენა თავისი შესაძლებლობა ქართულ კინემატოგრაფიაში. დარწმუნებული ვარ, იგი ჩვეული ოსტატობით განასახიერებდა კინოფილმების გმირებსაც და ქართული კინოს ისტორიაში მისი სახელი ოქროს ასოებით ჩაინერებოდა!




ეპიზოდი კონოფილმიდან „მამლუქი“ (1957 წელი)



ეპიზოდი კონოფილმიდან „მამლუქი“. მარცხნიდან მეორე სინო კალანდარიშვილი, ცენტრში — გიგა ებრალიძე, მარჯვნიდან მეორე — კახი კავსაძე. (1957 წელი)



ეპიზოდი კინოფილმიდან „მამლუქი“.
 სინო კალანდარიშვილს უამრავი მეგობარი ჰყავდა. მან
 იცოდა მეგობრის ფასი.





ფოთისა და ზუგდიდის თეატრის მსახიობები. ცენტრში დგანან: პირველ რიგში, მარცხნივ, პირველი —საშა ეგუტია (ზუგდიდის თეატრის დირექტორი), სინო კალანდარიშვილი (ფოთის თეატრის დირექტორი), ჟორა მილორავა ფოთის თეატრის მხატვარი. მეორე რიგში სხედან, მარცხნივ— ფოთის თეატრის მსახიობები ტუნა ტვალთვაძე, ნუნუ კობტაშვილი (შემდგომ ზუგდიდის თეატრის მსახიობი), სუფლიორი ნუნუ ხორავა, მეორე რიგში დგანან ფოთის თეატრის მსახიობები, მარცხნიდან პირველი— ვასო ჩხაიძე (შემდგომ კინომსახიობი „ არაჩვეულებრივი გამოფენა, „შერეკილები“ „ლაზარე“), ნინა პანაიოტი, ბიძინა ქუთათელაძე, ლამარა მურადელი, რეზო ქინქლაძე, გოგი ყურაშვილი, მეოთხე რიგი—ლენა ლომია საშა შონია, ნოდარ მახარაძე, ოთარ გუნცაძე (შემდგომ კინომსახიობი).

ჩვენს ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ხელოვანი ადამიანები: მწერლები, რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები, კომპოზიტორები, დრამატურგები. ისინი ზოგჯერ გათენებამდე შეუყვებოდნენ ქეიფს, მათი მოსმენა დიდი სიამოვნება იყო. საუბრობდნენ ხელოვნებასა და კულტურაზე, კითხულობდნენ ლექსებს, მღეროდნენ.



სინო კალანდარიშვილი — კინოფილმი „მამლუქი“
გადამღებ ჯგუფთან მარჯვნიდან პირველი,
კინო რეჟისორი — დავით რონდელი.



სინო კალანდარიშვილი მეგობრებთან: საქართველოს სახალხო არტისტი ვახტანგ ნინუა, ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის თეატრის მსახიოები: რესპ. დამს. არტისტები; ანდრო მსვენიერაძე, ოთარ მირცხულავა, ბიძინა ქუთათელაძე და მსახიობ ანზორ ჯვარელია. (ანზორ ჯვარელია წლების მანზილზე წარმატებით ხელმძღვანელობდა საქართველოს სასოფლო—სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტურ თეატრს)

სინოს განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებდა ქართული თეატრის ჭეშმარიტ მოამაგესთან, მკვლევართან და მემატიანესთან, ბატონ ვასილ კიკნაძესთან. შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა თეატრ-მცოდნეებთან: გენო ქელბაქიანთან, ეთერ გუგუშვილთან და ნოდარ გურაბანიძესთან, დრამატურგებთან: იონა ვაკელთან, ნიკოლოზ არეშიძესთან, შოთა ბათიაშვილთან; რეჟისორებთან: ვასილ ყუშიტაშვილთან, პავლე ფრანგიშვილთან, ნიკო გოძიაშვილთან, გიორგი იოსელიანთან, გიორგი ჟურულთან; მსახიობებთან: გიორგი შავგულიძესთან, ვერიკო ანჯაფარიძესთან, ვასო გოძიაშვილთან, ემანუელ აფხაიძესთან, გიორგი სალარაძესთან, სტეფანე ჯაფარიძესთან, ვახტანგ ნინუასთან; კომპოზიტორებთან: რევაზ ლალიძესთან, შოთა მილორაფასთან, შოთა ჯოჯუასთან და მხატვარ კოტე კვალიაშვილთან; მწერლებთან: როდიონ ქორქიასთან, კონსტანტინე მეძველიასთან, ლევან სანიკიძესთან, რაჟდენ გვეტაძესთან.

ცნობილი ქართველი პოეტი პეტრე გრუზინსკი თავის პირველ ლექსებს სწორედ მამას უკითხავდა.

ყველასთვის ცნობილი იყო მისი მეგობრობა გრიშა მამარდაშვილთან (ცნობილი მათემატიკოსი, სპორტსმენი, მუსიკოსი) და ზაურ ბაბუნაშვილთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი), მათ მეგობრობაზე ქალაქში ლეგენდები დადიოდა.

სამწუხაროდ, ამ პიროვნებებთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი ფოტო და ხელნაწერი დოკუმენტები განადგურდა 1991—1992 წლების ცნობილი მოვლენების დროს.

ეს ადამიანები ხშირად სტუმრობდნენ ჩვენს ოჯახს და ყველა მათგანს პირადად შევხვედრივარ. ბედნიერი ვარ, რომ მათი შემყურე გავიზარდე და ჩამოვყალიბდი, როგორც პიროვნება.

მიხარია, რომ მე ამ დიდი მემკვიდრეობის შთამომავალი ვარ და ამავე დროს მემატიანეც.

სინო კალანადრიშვილის დიდი სიყვარული უძველესი ფაზის ქალაქისადმი, მისი ღვანლი და ამაგი თეა-

ტრალური ხელოვნების განვითარებაში შეუფასებელი არ დარჩენილა. 1961 წელს მას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

გავყურებ მამის მიერ განვლილ გზას და გული სიამაყით მევსება!... ამ გზაზე ბევრია შემოქმედებითი გამარჯვების სიხარული, აღტაცება და... მარცხის სიმწარეც, რაც შემდგომ კეთილ გაკვეთილებად გამოუყენებია. მასში არასოდეს დაშრეტილა კვლავ თეატრის სიყვარულში დასახარჯი მომავლის იმედი, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ შეძლო ბოლომდე ამოენურა თავისი შესაძლებლობები, რადგან უღმობელმა სიკვდილმა დარია ხელი.

ბედმა ასე ინება!

სინო კალანდარიშვილი 1980 წლის 27 თებერვალს, 64 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი დასაფლავებულია მშობლიურ სოფელ ნიგოეთში. მისი მადიებელი სული დაცხრა და ვინ იცის, რამდენი ოცნება, ჩანაფიქრი სამუდამოდ განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ ვალერიან გუნიას სახელობის ფოთის პროფესიული თეატრის შემოქმედებითი დასის წევრები წარმატებით აგრძელებენ მის მიერ გაკვალულ გზას.

მემამაყება, რომ ჩემი ქალაქის თეატრალური ცხოვრების ისტორიის ერთ-ერთი სახელოვანი ფურცელი მამაჩემის — სინო კალანდარიშვილის სახელს უკავირდება.

ბატონმა სინომ შესანიშნავი ოჯახი დატოვა, კდემამოსილი მეუღლე — ეთერ კალანდარიშვილი, ორი დიდებული ქალიშვილი, ნანი და კესო, შვილიშვილები და ვაჟკაცი მერაბ კალანდარიშვილი, რომელშიც მამის სიცოცხლე გრძელდებოდა, მისი ალი—კვალი იყო იგი, სიკეთით, კაცურკაცობით და ნალდი ქართველობით აღსავსე, სამწუხაროდ, მერაბი უკურნებელმა სენმა ნადრევად იმსხვერპლა.

და მკრქალავი კოზისიისაგან

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ს. კალანდარიშვილის დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 2 მარტს, ცხედარი საკუთარი ბინიდან ვ. გუნიას სახელობის ფოთის სახელმწიფო თეატრში გადასვენებული იქნება. 18 საათზე, გამოსვენება თეატრიდან 15 საათზე.

ს. ლ. კლანდარიშვილი

საზნაობაში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი თეატრალური მოღვაწე, რეჟისორი და მსახიობი, საქართველოს სსრ დამახორეული არტისტი სინო (სინო) ლუკას ძე კლანდარიშვილი.

წავა ჩვენთან ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე, მჩქეფარე ენერჯია და მკვნივარე სიყვარულით აღსავსე გული მთლიანად და სავსებით მიუძღვნა ქართული თეატრალური კულტურის სამსახურს.

სინო ბავშვიობიდანვე გაიტაცა თეატრალურმა ხელოვნებამ. ჭირ კიდევ სრულიად პატარა იყო, სოფლად, სტენისმოყვართა მიერ დადგმული პირველი წარმოდგენა რომ იხილა და შემდეგ თვითონ გახდა ასეთი წარმოდგენების მუდმივი მონაწილე და ორგანიზატორი.

1934 წელს თბილისში გაიხსნა საქართველოს სასცენო ხელოვნების უმაღლესი კურსები, რომელსაც სათავეში ჩაადგა ცნობილი ქართველი თეატრალური მოღვაწე, პროფესორი ავაკი ფაფავა. სინო კლანდარიშვილმა წარმატებით ჩააბარა გამოცდები ამ კურსებზე. შემდეგ ეს კურსები გაუქმდა და მოსწავლეები მარტინივილის თეატრთან არსებულ სასწავლებელში გადაიყვანეს. 1934 წელს ს. კლანდარიშვილმა სადიპლომო-გამოსაშვებ სექტატულ „პირისპირში“ თამაშა მთავარი გმირის — ლარცევის როლი. ახალბედა მსახიობმა მსახიობის შესანიშნავი ნიჭი გამოამჟღავნა და ცერტიკო ანჯაფრანის, ვასო ქუშიტაშვილის, ვასო გვიამიშვილის, გიორგი შავგულიძის და სხვათა მოწონება და გულწრფელი მილოცვა დაიმსახურა.

მომდევნო სეზონი სინომ სოხუმის თეატრში გაატარა, ხოლო შემდეგ იგი სამუშაოდ გადავიდა გორის სახელმწიფო თეატრში. აქ სეზონის საუკეთესო სექტალებში იყო გედევანიშვილის „გადასვლელზე“, ქოჩარონის „ბრა მუსიკოსი“, დიუმასის „მისი ცოლი“, კაილის „მამილი“, გ. ბერმენიშვილის „ჩვენი მოწა“ და სხვ. ყველა ამ სექტალებში ს. კლანდარიშვილმა მთავარი გმირების დასაშასოვრებელი სცენური სახეები შექმნა.

საყოფიერ მუშაობას ეწეოდა ს. კლანდარიშვილი სამაშალო ოფის წლებში. იგი პოსიტლებსა და მონახლოებაში აწვობდა კონცერტებს. თეატრალური ბრიგადა მისი ხელმძღვანელობით იმ დროს მებრძოლებსა და მშრომელთა ფართო მასებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

1948 წლიდან სინო მუშაობს გორის ერისთავის სახელობის თეატრის დირექტორად, ამავე დროს ხელს კიდევს რეჟისორობას. მისი



პირველი დამოუკიდებელი რეჟისორული ნაწარმოები იყო ზ. ანტონოვის „ზღვის დახმარება საქართველოში“, რამაც სახელი და აღიარება მოიპოვა მას.

1954 წელს სინო დაინიშნა ფილის ვ. გუშიაის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორად, ხოლო 1959 წლიდან ამავე თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელია. ამ ახალ სარბიულზე ფართოდ გაიშალა მისი, როგორც თეატრალური საქმის ჩინებული ორგანიზატორისა და ნიჭიერი რეჟისორის უნარი, აქ მისი დადგმით არაერთი კარგი სექტაელი ნახა მკურებელმა. მათ შორის აღსანიშნავია ვ. კანდელაკის „მთა წყნეთლო“, ი. ვაკელის „მამილი“ და „მურა“, ნ. არქიშვილის „მზაია“, ი. კაჭავაძის „გლახის ნაამბობი“, რ. ქორქიას „ნიკო ნიკოლაძე“, გ. ქეღებიაშვილის „ხმა გულთა“, ნ. დუმბაძის „იე ზედავ მუხსა“ და სხვ.

ს. კლანდარიშვილი აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში, არჩეული იყო პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრობის პანელატად და საქალაქო კომიტეტის დეკლარატო, მიღებული იქონდა მთავრობის ჭოლოები.

სინო კლანდარიშვილის საქმიანობის მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართული თეატრალური ხელოვნების კორიფეები ავაკი ხორავა, ავაკი ვასაძე, ცერტიკო ანჯაფრანძე და სხვები. ერთ-ერთ წერილში ავაკი ხორავა აღნიშნავდა, რომ ქართული თეატრის მოღვაწეთა შორის ძნელად მოიძებნება ისეთი დაუშვრეტელი ენერჯის ცაცია, როგორც სინო კლანდარიშვილია.

სამუშაოდ ჩამოშორდა ჩვენს რიგებს ეს შესანიშნავი ხელოვანი, დიდებული ადამიანი და შეგობარა, მაგრამ მისი სისხლე მარად დარჩება ჩვენს შორის.

მხანამაძის ჯაბუი.

მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ დედას შვილებზე ზრუნვამ გააძლებინა და გადაატანინა უსაშველო ტკივილი. ცალად დარჩენილმა უდრტვინელად ზიდა ოჯახის მთელი სიმძიმე, რათა ღირსეულ ადამიანებად აღვეზარდეთ, არც ჩვენ გვიმტყუნია. ქვეცნობიერად ისეთი შეგრძნება გვქონდა, რომ მამა ყველაფერს ხედავდა, ყველაფერი იცოდა და ვცდილობით, ისე მოვქცეულიყავით, როგორც მას მოეწონებოდა.


დედაჩემი შვილიშვილებსაც მოესწრო და შვილთაშვილებსაც. იგი ბედნიერი წავიდა ამ ქვეყნიდან, რადგან უსაყვარლესი ვაჟის, მერაბის, ნაადრევად სიკვდილს ვერ მოესწრო. 2014 წლის 6 იანვარს გარდაიცვალა. ნიგოეთში, მეუღლის გვერდით დავასაფლავეთ.

მამაჩემის სიცოცხლე ჩვენს შვილებში, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებში გრძელდება. ისინი მართალია ბაბუას არ იცნობენ, თუმცა ყველაფერი იციან მის შესახებ და ეამაყებათ სახელოვანი წინაპარი, რომლის სახელსაც დავინწყება არ უნერია!

იგი ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიაა!

თითქოს ნათლად ვხედავ ფოლიანტზე თავდახრილ მამის წმინდა აჩრდილს, რომელიც იღუმალად მეჩურჩულება, რომ მეტი გავაკეთო ეროვნული ქართული თეატრის ხის ფესვის გასამაგრებლად.





სინო კალანდარიშვილი
1980 წელი



მთავრებდა



მთელი ცხოვრება—ხელოვნებისა და სულიერების სამყაროში



ჩვენ საბჭოთა ეპოქაში გავიზარდეთ, სადაც რელიგია ოპიუმად იყო მიჩნეული და ტაძართან მიახლოებაც გვეკრძალებოდა, არა თუ ლოცვა!

მთელ ამ ღვთაებრივ ვაკუუმს თეატრი ავსებდა... როგორც სულიერი აღზრდის დიდი კერა!

თეატრი ერთგვარ მიმართულებას აძლევდა საზოგადოებრივ—პოლიტიკურ ცხოვრებას და წარმოადგენდა ეროვნული სულისკვეთების ქართული გენის ბალავარს.

ფოთის თეატრს ხელოვნების კორიფეები ახსოვს სარეჟისორო და სამსახიობო კოჰორტით. როდესაც ვსაუბრობთ ფოთის თეატრზე, გვერდს ვერ ავუვლით რეჟისორისა და მსახიობის, დიდი ორგანიზატორის ბატონ სინო კლანდარიშვილის მოღვაწეობას, რომელიც წლების მანძილზე მთელი თავისი შემოქმედებით, მრწამსით, ძიებით მონანილებოდა ფოთის თეატრალურ ცხოვრებაში და ქმნიდა თეატრის ისტორიას. მას სანდრო ახმეტელის და კოტე მარჯანიშვილის მიერ დაფუძნებული დიდი თეატრალური სკოლა ჰქონდა გავლილი და ქართული სცენის დიდოსტატები იყვნენ მისი დამაკვალიანებლები.

სინო კლანდარიშვილი დაუშრეტელი ფანტაზიისა და ტემპერამენტის პიროვნება იყო. მე მისი თითქმის ყველა სპექტაკლი მახსოვს. იგი ძირითადად ჰეროიკულ—რომანტიკული მიმართულების მიმდევარი რეჟისორი იყო. სპექტაკლებმა: „მაია წყნეთელი“, „შამილი“, „გლახის ნაამბობი“, „ადამიანის ღირსება“, „დღესასწაული ჩვენს ქუჩაზე“, „ნიკო ნიკოლაძე“ მხატვრულმა დონემ მაყურებელთა და პრესის აღტაცება გამოიწვია. გაამდიდრა ფოთის თეატრის ისტორია.

ბატონ სინოს მიერ მის დადგმულ სპექტაკლებში რეალისტური სიმართლე შეერწყა რომანტიკულ

ზეანეულობას, ფსიქოლოგიური სიღრმე—პლასტიკურ სახიერებას და თანადროულობის გრძნობით დადგმულ წარმოდგენებში მკაფიოდ აისახა ხალხის ჰუმანიზმი, მისი შრომისა და ბრძოლის ჰეროიკა.

კარგად მახსოვს სპექტაკლები: „მზია“ და „რაც არ გერგება არ შეგერგება“, სადაც სცენიდან შეფარვით, როგორ აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას, ამხელდნენ ჩვენი ცხოვრების მანკიერ მხარეებს, რომელიც დიდ რისკთან და ვაჟკაცობასთან იყო დაკავშირებული, რაც არ აკლდა ბატონ სინოს.

დრო ყოველთვის ზუსტად განსაზღვრავს ხელოვანის ჭეშმარიტ შემოქმედებას და სათანადოდ აფასებს მის მიერ განვლილ გზას. ბატონი სინო მუდამ იღვწოდა პერიფერიული თეატრის შემოქმედებითი პრინციპები შეეხამებინა ქართული თეატრის გამოცდილებისა და მდიდარი ტრადიციებისათვის. დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა პიესების შერჩევას...

ყოველი ახალი სპექტაკლი სინო კალანდარიშვილის რეჟისრობით დღესასწაული იყო, გამორჩეული მსახიობებით და დაუვინყარი სახეებით. იგი მუდამ ცდილობდა საკუთარი ხედვა, ნიჭიერება ერთნაირი ძალით სრულყოფილად გამოეყვანა დრამისა და კომედიების დადგმებით, ახალი რეჟისორული გადაწყვეტით, მსახიობთა ნიჭისა და უნარის გამოვლენით.

ის რასაც აკეთებდა, როგორც აკეთებდა, მისი ხელწერა იყო!...

ბატონი სინო დიდი მოაზროვნე და პატრიოტი ადამიანი იყო. მისთვის უპირველესი იყო სამშობლო, მისი მომავალი, სულიერი სიმალლე, სულიერი მისია, ამიტომაც სინო კალანდარიშვილი დიდხანს დარჩება ქართული ხელოვნების, კერძოდ, ფოთის თეატრალური ცხოვრების ისტორიაში, ქართულ ცნობიერებაში, რამეთუ „მხოლოდ ოსტატს ვერ ენევა სიკვდილი“ - როგორც კონსტანტინე იტყოდა.

ამდენად, უკვდავია ბატონი სინოს ცხოვრება და შემოქმედება!

*რეზო გაგუა,
ქ.ფოთის საპატიო მოქალაქე, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ორგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.*

შესანიშნავი ხელოვანი, ღიღუპული ალამიანი ლა მებოგარი



სინო კალანდარიშვილმა მთელი თავისი შეგნებუღი ცხოვრება ფოთის თეატრის განვიტარებისა და წინსვლის საქმეს მიუძღვნა. ბატონი სინოს საქმიანობა გამოირჩეოდა არტისტული მომნიბვლელობით, მაღალი გემოვნებით, ინტელექტით, იგი ემოციური და ფართო დიაპაზონის მსახიობი და რეჟისორი იყო.

სინო კალანდარიშვილი ეროვნული თეატრალური შინაარსის და ფორმის მაძიებელი თეატრალური მოღვაწე იყო და ძირითადად ეყრდნობოდა ქართველი დრამატურგების შემოქმედებას. ფოთის თეატრის სცენაზე მის მიერ დადგმულ იქნა ვიქტორ გაბისკირიას, იონა ვაკელის, ვალერიან კანდელაკის, ნიკოლოზ არეშიძის, გენო ქელბაქიანის, შოთა ბათიაშვილის შესანიშნავი სპექტაკლები. მიუხედავად განვლილი წლებისა, მის მიერ დადგმული სპექტაკლების: „ბაში-აჩუკი“, „ხევისბერი გოჩა“, „უფსკრულთან“ და „შამილი“, „გლახის ნაამბობი“ ბავშვური ხილვით მიღებული შთაბეჭდილებები დღესაც არ გამწელებია.

ჩვენს ოჯახს ახლო მეგობრობა აკავშირებდა კალანდარიშვილების ოჯახთან. მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი შოთა სვანიძე და ბატონი სინო სხვადასხვა დარგს ემსახურებოდნენ განუყრელი მეგობრები იყვნენ. სასაუბრო თემაც არასდროს ელეოდათ. აზრთა სხვადასხვაობის გამო ზოგჯერ მწარედაც კამათობდნენ, მაგრამ საბოლოოდ გაღიმებულნი ერთ დასკვნამდე მიდიოდნენ და როგორც წესი საუბარს თეატრით ამთავრებდნენ.

კალანდარიშვილების ოჯახი განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა. მათთან იმართებოდა ხშირი შეკრებები, ტრაპეზები... ითქმებოდა საუკეთესო სადღეგრძელოები, ჟღერდა სასიამოვნო ჰანგები...

აქ შეკრებილი საზოგადოება ქართულ იუმორსაც არ ივინყებდა...

ჩვენ ამ შეკრებების ხშირი სტუმარი ვიყავით. მამაჩემი სამსახურის გამო (იგი ქალაქის ცენტრალური საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებას ხელმძღვანელონდა), შეკრებაზე ზოგჯერ დროზე მისვლას ვერ ახერხებდა და როგორი საპატიო სტუმარიც არ უნდა ჰყოლოდა ბატონ სინოს, მეგობრის მისვლამდე სუფრას არავის გააკარებდა. მასთან სტუმრობა დიდი ზეიმი იყო, ვის არ ნახავდით იქ - მსახიობებს, მხატვრებს, მუსიკოსებს. ჯერ კიდევ მოსწავლეობის დროს წილად მხვდა ბედნიერება სწორედ მათ ოჯახში შევხვედროდი პირველად ქართული სცენის კორიფეებს, საქართველოს სახალხო არტისტებს; ვასო გოძიაშვილს, ემანუელ აფხაიძეს, ელენე ყიფშიძეს, კომპოზიტორ შოთა მილორავას. მისი წყალობით ბავშვობიდანვე შემოქმედებითი ინტელიგენციის გარემოცვაში ვიზრდებოდი.

სინო კალანდარიშვილი საოცრად უბრალო, თავმდაბალი, თბილი და ყურადღებიანი იყო ყველას მიმართ. განსაკუთრებულად მახსოვს ერთი შემთხვევა.

სკოლაში იაკობ გოგებაშვილის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებას ვამზადებდით და მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა“ უნდა დაგვედგა, წარმოდგენაში ჩემთან ერთად სინო კალანდარიშვილის ქალიშვილი კესოც მონაწილეობდა. ტექსტები ვისწავლეთ, მიზანსცენები მოვამზადეთ და როცა ჯერი მიდგა პერსონაჟების გარეგნობაზე (გრიმი, კოსტიუმები, პარიკები, და ა.შ.) არ ვიცოდით რა გვექნა, მასწავლებლებიც დაიბნენ, ეს უკვე სკოლის დონეს აღემატებოდა. კესომ უცბად მითხრა, გია, მოდი მამაჩემს ვთხოვოთ და ის გვიშველისო. მართლაც, მაშინვე გავქანდით თეატრში. ბატონმა სინომ ლამის თეატრის მთელი გარდერობი გამოგვატანა, თან გრიმიორიც გამოგვაყოლა და ჩვენც მეტი რა გვინდოდა.

სინო კალანდარიშვილი არამარტო სპექტაკლების, არამედ მნიშვნელოვანი დღესასწაულების დამდგმელი რეჟისორიც იყო. დაუვინყარ მოგონებად დარჩა ფოთელებს მის მიერ ჩვეული დახვეწილობით და ორიგინალუ-

რი გადაწყვეტებით ჩატარებული საქალაქო ღონისძიებები.

გაივლის წლები, მოვა სხვა თაობა, მაგრამ სინო კალანდარიშვილის, თეატრისათვის დამშვრალის და ერის სიყვარულით გულანთებული ადამიანის ღვანლი და ამაგი დავინწყებას არ მიეცემა!

*გიორგი სვანიძე
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, ღირსების ორდენის კავალერი, სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი მეცნიერების დარგში.*

ყველაფერი ჩვენს საკეთილღეობ კეთილგონად



სინო კალანდარიშვილმა, როგორც მსახიობმა, რეჟისორმა და ხელმძღვანელმა, თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები ფოთის თეატრში გაატარა. მახსოვს პირველი რეპეტიცია „მაია წყნეთელში“, როცა ბატონმა სინომ მაიას როლზე მე შემარჩია, ცოტა არ იყოს, შევშინდი, რადგან იგი გარეგნულად მკაცრ შთაბეჭდილებას ტოვებდა. მრისხანედ აბრიალებდა თვალებს, დრტივინავდა, შფოთავდა,

მაგრამ დაინწყებოდა თუ არა სპექტაკლზე მუშაობა, ბავშვივით გარდაიქმნებოდა. თითოეულ ჩვენგანთან გულმოდგინედ მუშაობდა და უბრალოებით გამოირჩეოდა. განუმეორებლად წარმოგვიდგენდა მოქმედი გმირების სულიერ სამყაროს.

სპექტაკლების დადგმის გეგმები რომ შეგვესრულებინა, დღეში რამდენიმე გასვლითი წარმოდგენა იყო დაგეგმილი მეზობელ რაიონებში. ზოგჯერ ისე ხდებოდა, რომ დილის სპექტაკლის დამთავრების შემდეგ პირდა-

პირ გასვლით წარმოდგენებზე გავდიოდით. ვიღლებოდით, მაგრამ აბა ვინ რას იტყოდა, ყველაფერი ხომ ჩვენ საკეთილდღეოდ ხდებოდა. ვიცოდით რა ბატონი სინოს დიდი იუმორის გრძნობის შესახებ, ერთ დღეს მორიგ გასვლით წარმოდგენაზე მგზავრობისას მსახიობმა პუჭკა კოსტავამ გაბედა და ექსპრომტად შეთხზული ლექსი მოახსენა :

„ამხანაგო დირექტორო, ამხანაგო სინო,
ორ სეანსს რომ გვათამაშებ, ხომ არა ვართ კინო?“

ბატონი სინოს დირექტორობის პერიოდში ტრადიციად დამკვიდრდა სამხატვრო საბჭოს გაფართოებული სხდომების ჩატარება, სპექტაკლების საჯაროდ განხილვა, მოსწავლეთა თეატრალური კვირეულის ჩატარება.

*ჟუჟუნა ჩხეიძე
ვალერიან გუნიას სახელობის ფოთის პროფესიული თეატრის მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი*

ქალაქს უხლებოდა



ჩემი მშობლები მსახიობები იყვნენ - მერი აბაშიძე და ოთარ მირცხულავა. ბავშვობიდან ხელოვნების სამყაროში მიწევდა ყოფნა და ალბათ ამანაც განაპირობა, რომ მეც ოჯახური ტრადიცია გავაგრძელე და, რა თქმა უნდა, ფოთის თეატრში შედგა ჩემი პირველი ნათლობა, სადაც სისხლსავსე შემოქმედებითი ცხოვრება ჩქეფდა. ამ ყველაფრის სულისჩამდგმელი იყო სინო კალანდარიშვილი.

პირველად რომ დავინახე, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე, ულამაზესი, საოცრად თბილი

და მოსიყვარულე. ზღვას შევადარე. ზღვას ჰგავდა, ხან ნყნარს და ხან ბობოქარს. თეატრი მისთვის ანი და ჰოე იყო. ყველაფერი ემეტებოდა, თავს არ ზოგავდა და თეატრიც სიყვარულით პასუხობდა. მახსოვს, რომ ყველას უზომოდ უყვარდა ბატონი სინო, მაგრამ საოცარი რიდი ჰქონდათ. მასაც ყველა უყვარდა, თეატრში ყველა კუთხე-კუნჭული იცოდა და უყურადღებოდ არავის და არაფერს ტოვებდა. ნამდვილად უხდებოდა ქალაქს - მაღალი, ლამაზი, ნიჭიერი, კეთილი, მოსიყვარულე და უზომოდ შეყვარებული ფოთზე და ფოთის თეატრზე. აი, ასეთი დარჩა ჩემს ბავშვურ მეხსიერებაში, ასეთი იყო ბატონი სინო კალადარიშვილი.

ლია მირცხულავა, რეჟისორი

თეატრს შინობა შეუნარჩუნა



1960 წლის ზაფხულში გავიცანი ბატონი სინო, როდესაც სადიპლომო სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მომილოცა წარმატებები და ფოთის თეატრში შემომთავაზა მუშაობა. მეც დავთანხმდი და არჩევანში არ შევმცდარვარ. თეატრში ფეხი შევდგი თუ არა, თვალში მომხვდა ვებერთელა ბროლის ქალი, როგორც შემდგომში გავიგე, დიდი თეატრის ქალის ასლი ყოფილა და იგი ბატონ სინოს საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრის, ეკატერინა ფურცევას დახმარებით შეუძენია. ხასხასა ნითელი ფერის ხავერდით გადაკრული სკამები, ფოიეში ფოთის თეატრის მსახიობთა ფოტოგალერეა და სპექტაკლების დეკორაციული გაფორმების მაკეტები. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ჩემთვის ნათელი გახდა, თუ რა რანგის ხელმძღვანელთან მიწევდა მუშაობა. დარბაზი რადიოფიცირებული იყო. ქალაქის რუსულენოვან

მოსახლეობას საშუალება ჰქონდა, დამტკბარიყვნენ ფოთელი მსახიობების ხელოვნებით და სინქრონული თარგმანის საშუალებით მშობლიურ ენაზე გასცნობოდნენ პიესის შინაარსს. ბატონი სინო იყო ის პიროვნება, რომელიც ყველა პრობლემას წყვეტდა თეატრის და ქალაქის სასარგებლოდ. იყო ასეთი გასაიდუმლოებული ფაქტი, რომელმაც საზოგადოებაში გამოჟონა. გასული საუკუნის 60—იან წლებში საფრთხე შეექმნა ფოთის თეატრის შემოქმედებითი დასის საქმიანობას, რადგან ფოთში განლაგებული შავი ზღვის ფლოტის უმაღლესი რანგის რუსი სამხედროების ინიციატივით მოითხოვეს თეატრის შენობაში განთავსებულიყო ოფიცერთა სახლი, ხოლო შემოქმედებით კოლექტივს მუშაობა გაეგრძელებინა ზღვის ნაპირას მდებარე ოფიცერთა სახლის კლუბში. ბატონი სინოს ძალისხმევით ეს მოთხოვნა არ განხორციელდა, მას არ დაუტოვებია საქართველოში არც ერთი ინსტანცია და ვერაფერს რომ ვერ მიაღწია, უმაღლესი საბჭოს დეპუტატს საქართველოდან ხრუნისჩევს მოსკოვში ეახლა, მან კი საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრ ეკატერინა ფურცევას შეახვედრა... და საკითხი ფოთის თეატრის სასარგებლოდ გადაწყდა. მინისტრის კაბინეტიდან იგი თურმე იქამდე არ გამოსულა, სანამ მინისტრს ფოთის თეატრისათვის საჩუქრად „ყუბანის“ მარკის ავტობუსი არ გამოაყოფინა.

*ლამარა მურადელი,
ფოთის თეატრის მსახიობი. 2014 წ.*



ჩემი წარმატება მულამ ახარებდა



1958 წელს თეატრალური სასწავლებლის ბოლო კურსზე ვითამაშე ქსანტეს როლი, გულერმე ფიგეიდეროს პიესაში „მელა და ყურძენი“. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მიხმეს დირექტორის კაბინეტში და წარმადგინეს ფოთის თეატრის დირექტორთან. მასთან ჩემი

შეხვედრა იყო მოულოდნელი...თურმე მისი დიდი მონონება დამიმსახურებია... ჩემ წინ იდგა გოლიათი ადამიანი, საოცარად შთამბეჭდავი გარეგნობითა და ბასი ბარიტონით. მომილოცა, მიმიხუტა და ფოთის თეატრში სამუშაოდ დამპატიჟა. ისეთი ხიბლი ჰქონდა ამ საოცარ ადამიანს, რომ პირველივე შემოთავაზებაზე, დავეთანხმე. მისვლისთანავე ჩამრთეს რეპერტუარში. ბინაც მაშინვე მომცა „ლუკიჩმა“ - ასე ეძაძენენ მას.

როლს როლი მოსდევდა!

სამხატვრო ხელმძღვანელად მოწვეული ჰყავდა ბატონი - გიორგი იოსელიანი. განაწილდა ლევან სანიკიძის პიესა „გაიუს გრაკხი,“ სადაც ბატონი სინო გაიუსის როლზე დაინიშნა. ახლაც მახსოვს შემზარავი სცენები, სენატორებთან გაუთავებელი ჭიდილი, ღალატი, შურისძიება და ბოლოს, უმაღლეს ტრაგიზმამდე აყვანილი სიკვდილის სცენა. დიდი ძალის არტისტი იყო, მთელი ამ სიტყვის მნიშვნელობით. ჩემი წარმატება მუდამ ახარებდა. სულ მალე ქალაქის ხელმძღვანელობამ მომანიჭა ქალაქის მონინავე ადამიანის სტატუსი და სურათი საქალაქო სტენდზე გამოაკრეს, ქალაქის მესვეურების გვერდით. მოშურნეები მაშინვე გამოჩნდნენ, მხოლოდ ბატონმა სინომ მომილოცა სიამაყით და მითხრა: „ცუდას რად უნდა მტერობაო“ და მიმიხუტა, როგორც მაშინ ... (ილლიამდე ვნდებოდი) მაშინ, ყველა თეატრს უჭირდა ტრანსპორტირება. გასვლით სპექტაკლებზე დეკორაციისთვის განკუთვნილი მანქანებით

გადავადგილდებოდით ხოლმე. ბატონი სინო, ხშირად დაგვყვებოდა „გასვლითებზე“. იგი მძლოლის გვერდზე იჯდა „კაბინკაში.“ მე კუჭის წყლული მქონდა, ძალიან მანუხებდა, ქვემოდან დაიძახებდა: „ანზორი როგორ არისო?“ თუ ძალიან მტკიოდა, ეტყოდნენ . . . გააჩერებდა მანქანას, თვითონ იმხელა კაცი, ამოვიდოდა ზევით „კუზავოში“ და მე მძლოლის გვერდით დამსვამდა.

აი, ასეთიც იყო ლუკიჩი!

გავიდა დრო. დავოჯახდი. გოგო გვეყოლა. მე ალექსანდრე გრიბოედოვის სახელმწიფო რუსული დრამის თეატრში მიმინვიეს. განცხადებას არ ელოდა ლუკიჩი. ცრემლები მოადგა და გაუჭირდა, მაგრამ მითხრა: „გზა მშვიდობისაო“. გავიდა ხანი. გარდაცვალება შემატყობინეს და რა თქმა უნდა, დავესწარი დაკრძალვას. 100 წელი ხომ მთელი საუკუნეა და ალბათ თაობებს გადაეცემა ეს წიგნი „გოლიათ ადამიანზე, საოცარი მთამბეჭდავი გარეგნობითა და ბასი ბარიტონით.“

ანზორ გვაძაბია.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ლირსებისა და სამოქალაქო თავდადების მედლების კავალერი, იმედის გმირი. გიორგი ერისთავის სახელობის, გორის პროფესიული, სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორი და მსახიობი.



სინო კალანდარიშვილმა ახალ ეტაპს ჩაუყარა სა- ფუკველი ფოთის თეატრალურ ცხოვრებაში



ბატონი სინოს უფროსი ქალიშვილი, ნანი კალანდარიშვილი და მე 50-იანი წლების ბოლოს V-VIII კლასებში ერთად ვსწავლობდით ფოთის პირველ საშუალო სკოლაში. მათი ოჯახი ფოთში, თუ არ ვცდები, გორიდან გადმოვიდა. ჩვენი კლასის გოგო-ბიჭები ხალისიანად ვცხოვრობდით და იუმორით სავსე ნანიც უცებ ჩაენერა ჩვენი მეგობრების სიაში. ჩემს ინტერესს ნანის მიმართ ისიც აძლიერებდა, რომ მამამისი, ბატონი სინო თეატრის დირექტორად მოვევლინა ჩვენს ქალაქს. თეატრის მიმართ კი ფოთელებს განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდათ. ფოთის თეატრი 50-იან წლებში შესანიშნავი მსახიობებით იყო განებივრებული და არც მაყურებელი აკლდა. მე და ჩემს უფროს დას ლიას თეატრი ჩვენმა მშობლებმა შეგვავყვარეს, ძალიან ხშირად დავყავდით სპექტაკლებზე. გვიზიდავდა თეატრალური სამყარო, გვყავდა საყვარელი მსახიობები. მახსოვს, ყველანი შეყვარებული ვიყავით განუმეორებელ არჩილ გომიაშვილზე, რომელიც მთავარ გმირს ასახიერებდა ლოპე დე ვეგას “ცეკვის მასწავლებელში”. ერთი სიტყვით, თეატრის პატარა ფანისთვის მისი დირექტორის ქალიშვილი ფრიად საინტერესო ადამიანი იყო.

ერთი კი იყო ყურს გვჭრიდა ქართლური კილოკავი, ასე რომ გამოარჩევდა კალანდარიშვილების ოჯახის მეტყველებას ფოთელების მეგრულ-გურული კილოკავების ნაზავისაგან. ამას განსაკუთრებით ნათლად მათთან სტუმრობისას ვგრძნობდით — დეიდა ეთერისა და ბავშვების — ნანის, კესოსა და მერაბის საუბარს ჩვენი ბავშვური წარმოდგენით შორეულ ქართლში გადავყავდით. . .

ბატონი სინო შესანიშნავი გარეგნობის, წარმოსადეგი

კაცი იყო. მისი მეუღლე ქალბატონი ეთერი სილამაზით მას ტოლს არ უდებდა. ამ შესანიშნავმა წყვილმა განსაკუთრებული სიბილი შესძინა პატარა ქალაქს. მთავარი კი ისაა, რომ ბატონი სინო კალანდარიშვილის მოღვაწეობამ ფოთის თეატრს ახალი სუნთქვა შთაბერა. მისი დირექტორობისას დასი ფოთის მკვიდრი მსახიობებით შეივსო _ რეზო ბარამიძე, რეზო ქინქლაძე, ყუყუნა ჩხეიძე, ცოლ-ქმარი მელქაძეები, ოთარ მირცხულავა, გოგილო ყურაშვილი და სხვ. _ ეს ის სახელებია, რომელთაც ფოთის თეატრის სცენაზე არაერთი დასამახსოვრებელი სახე და, საბოლოოდ, ბატონ სინოსთან ერთად, ამ თეატრის ისტორიას ბრწყინვალე ფურცლები შესძინეს.

*რუსუდან წურნუშია,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო
კონსერვატორიის ემერიტუს პროფესორი, ტრადიციული
მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო
ცენტრის დირექტორი*

რა ღამაჲნიყებს გაღაჲელილ ღარბაჲს



ერის მომავალი მისი წარსულით იწყება — ამიტომაც არის, რომ მომავალზე ფიქრს წარსულის შეცნობა და წარმოჩენაც შვენის.

25 წელი მუშაობდა სინო კალანდარიშვილი ფოთის თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად. ეს გოლიათი აღნაგობის კაცი დიადი იყო საქმეშიც, ოჯახშიც და მეგობრებშიც. მისი ხელმძღვანელობით თეატრს საოცარი წარმატებები ჰქონდა მთელ რესპუბლიკაში. ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა თეატრალურ მოღვაწეთა შორის და საზოგადოებაში.

სინო კალანდარიშვილს უღარესად რთულ და

წინააღმდეგობით აღსავსე ეპოქაში მოუწია მოღვაწეობა. სხვა გამორჩეულებთან ერთად ის ხალხისა და სამშობლოსათვის აკეთებდა ყველაფერს, რაც იმხანად შესაძლებელი იყო და ზოგჯერ იმასაც კი, რაც შეუძლებელი ჩანდა. ეს პირველ რიგში ეხება შემოქმედებით აზროვნებას, რაც მაშინ გარკვეული მიზეზების გამო იდეოლოგიურ ჩარჩოში იყო მოქცეული.

ეს ეხება ამაღლებულ ზნეობასა და კაცთმოყვარეობას, რომელსაც ასევე ზღუდეების მსხვერვა სჭირდება.

ეს ეხება ჭეშმარიტად მამულიშვილობასა და თავისუფლებას, რომელზეც ხმამაღლა ფიქრსა და ოცნებას იშვიათად ვინმე თუ გაბედავდა.

სინო კალანდარიშვილის პიროვნული კეთილშობილება და აღმატებულება აღმოცენებული იყო ეროვნულ ფესვზე და ამიტომაც ახერხებდა იგი მეგობრებთან და თანამოაზრეებთან ერთად თითქმის შეუძლებლის კეთებას.

რა დამავინწყებს სინოს სპექტაკლებზე ხალხით გადაჭედით დარბაზს და დაუსრულებელ ოვაციებს. მსახიობები როლებს კი არ თამაშობდნენ, თითქოს ცხოვრობდნენ სცენაზე.

ფოთელებისათვის დაუფინყარია სპექტაკლ „მაია წყნეთელის“ პრემიერა, როდესაც სცენაზე ადგილობრივ მსახიობებთან ერთად იდგნენ ქართული სცენის ვარსკვლავები: ელენე ყიფშიძე (მაია წყნეთელის როლში) და ვასო გოძიაშვილი (მეფე ერეკლეს როლში), ან რა დონის სპექტაკლი უნდა ყოფილიყო, ან როგორ უნდა ეთამაშათ ადგილობრივ მსახიობებს, რომ დისონანსი არ მომხდარიყო. იმ დროს დედაქალაქის გამორჩენილ მსახიობებთან საქმიანი ურთიერთობაც ხომ პერიფერიის თეატრებისათვის „ახალი ხილი“ და დიდი მოვლენაც იყო.

ჩვენი ქალაქის ხშირი სტუმრები იყვნენ ცნობილი თეატრალები - ვასილ ყიფშიძე და ნოდარ გურაბანიძე (თეატრმცოდნეები), შალვა კილასონია (კულტურის სამინისტროს თეატრების სამმართველოს უფრო-

სის მოადგილე, რეჟისორები გიორგი იოსელიანი, ნიკო გოძიაშვილი, ვიქტორ გაბისკირია. სახელმძღვანელო მსახიობებისა და ცნობილი დრამატურგების, კომპოზიტორებისა და მხატვრების სტუმრობით განებივრებული იყო თეატრის კოლექტივიც და მთლიანად ქალაქი, სადაც მაშინ ჩქეფდა თეატრალური ცხოვრება.

სამწუხაროა, რომ ამ წარმატებებზე წარსულ დროში გვინევს საუბარი და დღეს ვერაფრით დავიკვებებით. არადა, ეს შემართება და პათოსი გვაკლია განსაკუთრებით დღეს, ძველისა და ახლის სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილის ჟამს. უფალო, მოგვივლინე ახალი სინო კალანდარიშვილი ფოთს და მთლიანად საქართველოს.

*ომარ ხუხუნი
ფოთის საზოგადოებრივი დარბაზის ხელმძღვანელი*

წამყვანი შემოქმედი



ბედნიერი გახლავართ იმით, რომ ჩემი ბავშვობა და ყმანვილქალობა დაემთხვა ჩემი ქალაქის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან პერიოდს. ჩემი, როგორც მომავალი კომპოზიტორის მასაზრდოებელი წყარო სწორედ რომ ხალხური, ზოგადად საგუნდო მუსიკა და თეატრალური ცხოვრება გახლდათ, რომელიც ასე საოცარი სიყვარულითა და უდიდესი ძალისხმევით ჩქეფდა ჩემი მშობლიური ქალაქ ფოთის კულტურულ ცხოვრებაში. ეს პერიოდი მართლაც დაუფინყარია ჩემს მეხსიერებაში. ეს გახლდათ ფოთის თეატრალური ცხოვრების აღმავლობის პერიოდი. ამ პერიოდს უკავშირდება საქართველოს დამსახურებული არტისტის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მსახიობისა და რეჟისორის ბატონი სინო

კალანდარიშვილის ოცდახუთწლიანი დაუღალავი შემოქმედებითი მოღვაწეობა. მახარებს ისიც, რომ ბატონი სინო მეგობრობდა ჩემს მამასთან — ცნობილ ლოტ-ბარსა და საზოგადო მოღვაწესთან არჩილ ხორავასთან, რომელსაც რამდენიმე სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის. ბატონი სინო გახლდათ, როგორც შესანიშნავი მსახიობი და რეჟისორი ასევე არაჩვეულებრივი პიროვნული ღირსებების მატარებელი: ახოვანი, საოცრად მიმზიდველი, გულანთებული მოღვაწე, უაღრესად მოყვასი თავისი საქმისა და ოჯახისადმი. ბატონი სინო მართლაც რომ რჩეული გახლდათ თავის საქმეში. სწორედ რომ მას ეკუთვნის არა ერთი პიესის უმაღლეს ხარისხში განხორციელება, როგორიც იყო ყველასათვის დაუვინყარი. „მე, ვხედავ მზეს“, „ნიკო ნიკოლაძე“, „კოლხეთის ცისკარი“, „ბრმა მუსიკოსი“, „ჭალიკონი“. სანამ იარსებებს ქალაქ ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი, მარად იქნება მისი სახელი უკვდავყოფილი.

უფალმა ნათელი დაუმკვიდროს მის სულს მარადიულ სასუფეველში.

*რუსუდან ხორავა
კომპოზიტორი*



ღიღუპული აღამიანი



ფოთის თეატრალური ხელოვნების განვითარების მთელი ეპოქა სინო კალანდარიშვილის სახელს უკავშირდება. იგი განსაცვიფრებელი ფანტაზიისა და იშვიათი ნიჭის მქონე აღამიანი იყო.

მე ბედნიერი ვარ იმით, რომ სინოს ახლოდან ვიცნობდი. მრავალი წლის მანძილზე ვცხოვრობდი მათ მეზობლად (ყოფილი მახარაძის ქუჩა). მისი ქალიშვილი კესო და მე ბავშვობიდან ვმეგობრობდით. პირველი კლასიდან ერთ მერხთან ვისხედით. ჩვენს კარგ დამოკიდებულებას ხელს ისიც უწყობდა, რომ კალანდარიშვილების ოჯახი სტუმართმოყვარე იყო.

არასოდეს დამავინწყდება მუდამ მომლიმარი, კეთილი და გულუხვი მასპინძელი ეთერი დეიდა, რომელიც მუდამ უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა მეუღლეს. კარგად მახსოვს მთელს ქალაქში დიდი თუ პატარა, როგორი მორიდებით უხრიდნენ თავს სინო კალანდარიშვილს. გარეგნულად მკაცრ , მაგრამ შინაგანად ძალიან თავმდაბალ და უბრალო პიროვნებას უამრავი მესოტბე ჰყავდა.

50—60-იანი წლების მოსწავლეები ფოთის თეატრის სპექტაკლებით ვცხოვრობდით. ვიტყვი, ბედნიერია ის თაობა, ვისაც წილად ხვდა სცენაზე ეხილა სინო კალანდარიშვილი, როგორც მსახიობი და ასევე დამტკბარიყო მის მიერ დადგმული სპექტაკლებით . მივინყებას არ ეძლევა მისი „ბაში- აჩუკი,“ „მეფე ერეკლე,“ „შამილი“ , „ხევისბერი გოჩა“, „ გაიუს გრახკი“, „მე ვხედავ მზეს“ და მრავალი სხვა. ბედნიერნი არიან ის მსახიობები, რომლებიც ბატონ სინოს ხელში გამოიწვრთნენ და შემდეგ თავიანთი ხელოვნებით ემსახურნენ ქართულ თეატრალურ კულტურას. იგი კლასიკური

ტიპის ქართული მენტალიტეტის რეჟისორი იყო.

ძნელად დასავიწყებელია მაყურებლით გადაჭედილი დარბაზი, მათი ოვაციები, იარუსზე ფეხზე დასადგომი ბილეთების გარეშე დარჩენილი ხალხი, სიყვარულით გულანთებული მაყურებელი, სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მოუთმენლად რომ ელოდა საყვარელ მსახიობს, რათა მოჰფერებოდა, ბატონი სინოსთვის თვალი ახლოდან შეევლოთ...სამახსოვრო სურათები გადაელოთ....

თეატრის დირექტორის ბრძანებით ღამის სპექტაკლებზე აკრძალული იყო 16 წლამდე ბავშვების დასწრება., მაგრამ ონავარი ბავშვები მაინც ვახერხებდით თეატრში შესვლას და სპექტაკლის ყურებას.... უცბად თავზე დაგვადგებოდა კაპელ... და გვეტყოდა: „ლუკირმა“ (ასე მიმართავდნენ ბატონ სინოს) გამომიშვა ბავშვები უჩემოდ არ წავიდნენ სახლშიო...ჩვენც რა უნდა გვექნა, გაფითრებულები ველოდით განაჩენს ...მოვიდოდა ბატონი სინო და თბილად გვეტყოდა, რომ ჩვენი ასეთი საქციელი განარისხებდა მაყურებელს და მათი უარყოფითი რეაქციაც მასზე მართებული იქნებოდა. ბოლოს გაიღიმებდა და იმასაც კი გვეტყოდა, უნდა ჩავნეროთ დასწიო და ასე მთავრდებოდა ჩვენთან მისი დიალოგი.

მახსოვს მე-7 კლასში ვიყავით, როცა სკოლაში სპექტაკლის დადგმა გადავწყვიტეთ. სარეპეტიციოდ სათანადო ფართი არ გვექონდა. 3 —ცვლიანი სწავლება იყო...სააქტო დარბაზში ფიზკულტურის გაკვეთილები ტარდებოდა...ამის შესახებ როცა გაიგო სინო ბიძიამ შემოგვითვალა, თუ თქვენი ჩანაფიქრი სერიოზულია დღის 11 საათამდე შეგიძლიათ თეატრის სარეპეტიციოდ დარბაზით ისარგებლოთ. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დილიდან მთელი 2 თვე თეატრში, როგორც პროფესიონალი მსახიობები ისე გავდიოდით რეპეტიციას. ჩვენმა შრომამ შედეგი გამოიღო და სპექტაკლმა სკოლის პედაგოგების და მოსწავლეების მონონება დაიმსახურა..

ბატონი სინო სულ ახალი ტალანტების ძიებაში იყო, ამიტომ იგი ყოველმხრივ უწყობდა ხელს თეატრსა და სკოლებს შორის კავშირის დამყარებას. სინო კალანდარიშვილის თაოსნობით ტარდებოდა ექსკურსიები თეატრში, სადაც პირადად გვესაუბრებოდა თეატრის საქმიანობაზე. გვაცნობდა მსახიობებს, ტექნიკურ მუშაკებს. ამის შემდეგ კი თითოეულ ჩვენგანში იბადებოდა სურვილი ამ საინტერესო ადამიანებთან შეხვედრისა. ჩვენ და საბედნიეროდ, ეს ხელოვანი ხალხი (მსახიობი, რეჟისორი, მუსიკალური გამფორმებელი, მხატვარი) დაუზარელად ღებულობდა ჩვენს მოწვევას და გვსტუმრობდნენ სკოლაში, ყვებოდნენ თავიანთ შემოქმედებაზე, უქებდნენ ბავშვებსთვის შემოქმედებას და ასე ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ იხვეწებოდა ჩვენი გემოვნება და სწორ მიმართულებას იღებდა თითოეული ჩვენგანის ესთეტიკური თუ ეთიკური ჩვევები. ამ ურთიერთობიდან გამომდინარე ზოგიერთმა ფოთელმა ახალგაზრდამ მსახიობობა აირჩია.

სწორედ იმ საუკუნის 50—60—იანი წლების ფოთელი ბავშვები გახლავთ დღესდღეობით ქვეყნის, სამშობლოს ღირსეული შვილები, რომელნიც დაუფლებულნი არიან სხვადასხვა პროფესიას და ემსახურებიან თავიანთ ხალხს. ესენ იარიან ექიმები, ინჟინრები, საშუალო სპეციალობის საუკეთესო მუშაკები, კარგი, გამართული, ქართული ოჯახის თავკაცები, ყოველივე ამაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ფოთის თეატრს და მის თავკაცს სინო კალანდარიშვილს.

მადლობა კესოს, რომ თავის შვილებს და შვილიშვილებს, დღევანდელ მოსწავლე-ახალგაზრდობას, ქალაქის საზოგადოებას გაახსენა და გააცნო სათაყვანებელი წინაპრის საინტერესო შემოქმედებითი გზა. გზა, გაჯერებული ვაჟკაცობით, სულგრძელობით, საყვარელი საქმის, ხალხის, მოყვასის სიყვარულით.

ხალხმა ყოველთვის სიმართლე უნდა იცოდეს ღვანლ-მოსილი ადამიანების შესახებ.

სასურველია, ბატონ სინოს მიმართ ფოთელების

მხრიდან პატივისცემის გამოხატვის მიზნით ქალაქში არსებულ ხელოვანთა სკვერში, დაიდგას სინო კალანდარიშვილის ბიუსტი, ხოლო რუსთაველზე მდებარე საცხოვრებელ სახლზე გაკეთდეს მემორიალური დაფა.

*ნანი ბობოხიძე
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი,
უმაღლესი კატეგორიის ექიმი.*

სინოსთან მუშაობა საინტერესო იყო



საოცრად სწრაფად გადის დრო. ან კი რა არის ჩვენი ლელვით აღსავსე წუთისოფლისთვის 20 წელიწადი? არაფერი! მაგრამ ის მუდამ ჩვენთან არის. შეუძლებელია, დაივიწყო ადამიანი, რომელთანაც შენი ახალგაზრდული წლები გაგიტარებია, შემოქმედებითი ურთიერთობა გქონია, ერთად გიოცნებიათ და გიფიქრიათ მომავალზე, ხალისიანად გილხენიათ, გულიანად გიცინიათ და თუ საჭირო იყო, გიტირიათ კიდევ.

საინტერესო და მიმზიდველი იყო მასთან მუშაობა, როგორც რეჟისორთან. მე წილად მხვდა ბედნიერება, მთავარი გმირები განმესახიერებინა მის მიერ დადგმულ სპექტაკლებში: „გლახის ნაამბობი“, კოჭლი მენისქვილე, „ხმა გულისა“, „ხევისბერი გოჩა“, „დღესასწაული ჩვენს ქუჩაზე“, „მე ვხედავ მზეს“, მისი ხელმძღვანელობის დროს ტრადიციად იქცა ცალკეული სპექტაკლების დადგმისათვის დედაქალაქიდან ცნობილი რეჟისორის მოწვევა, რაც ხელს გვიწყობდა პროფესიულ დაოსტატებაში. ჩვენი თეატრის ხშირი სტუმრები იყვნენ რეჟი-

სორები პავლე ფრანგიშვილი და ნიკო გოძიაშვილი.

სინო კალანდარიშვილის უნარიან შემოქმედებაზე ლაპარაკობს შემდეგი ფაქტიც: თეატრში შეიქმნა ისეთი რეპერტუარი და იმ დონის სპექტაკლები, რომ თეატრი საგასტროლოდ მიწვეულ იქნა თბილისში.

დიდად დასანანია, რომ დღეს იგი ჩვენ შორის აღარ არის. მისი უანგარო ღვაწლი დავინწყებას არ მიეცემა, მას მუდამ ეყოლება თაყვანისმცემლები და მომგონებლები.

*გოგილო ყურაშვილი, რესპუბლიკის დამს.
არტისტი. ფოთის თეატრის მსახიობი
გაზ. „ფოთის უწყებანი,“ 15 თებერვალი, 2002წელი.*

სინოსულე, რომელის დიდ ხელოვანს მიეკვნა – არღაჴინწყაბის ღა დიღაბის შარაჴანღელით



ფოთელობა ყოველთვის გვეამაყე-
ბოდა, მაგრამ არა მხოლოდ ფაზისუ-
რი წარსულის და თანამედროვე გეო-
პოლიტიკური პრიორიტეტების გამო,
არამედ ფოთელთა უფროსი თაობის
გამორჩეულობის, ინტელექტის, სით-
ბოს და სიკეთის გამო. საუკეთესოთა
შორის საუკეთესო ადამიანები სამუ-
დამოდ შემორჩა მეხსიერებას, ფოთის
კოლორიტები, საპატიო ადამიანები...
მათ შორის იყო სინო კალანდარიშვი-
ლი, დიდი პიროვნება, დიდი ორგანიზატორი. სახელ-
მწიფოებრივად მოაზროვნე, ფოთსა და ფოთელებზე
უსაზღვროდ შეყვარებული, მათი ჭირვარამის მოზიარე,
სიყვარულის, სიკეთის მთესველი და რაც მთავარია, ხე-
ლოვნების ქურუმი—თეატრი მისი ხელმღვანელობით
იყო საზოგადოებრივი ცხოვრების კამერტონი, ჩაუქრო-
ბელი კანდელი, ყოველი ახალი სპექტაკლი აქ იყო მსახი-
ობთა კოჴორტა, დიდი პროფესიონალები, რომლებსაც

ინვევდნენ სხვა თეატრები და იღებდნენ კინოფილმებში.

სამსახიობო კარიერის პირველ ეტაპზე მისი ხელმძღვანელი იყო ცნობილი თეატრალური მოღვაწე აკაკი ფალავა, ბატონი სინოს ნათლობა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე შედგა. წლების განმავლობაში იყო გორისა და ფოთის თეატრის დირექტორი, პარალელურად არ შეუწყვეტია სარეჟისორო მოღვაწეობა, იყო ნარმატიებული სპექტაკლები — „გაიუს გრახკი“, „გლახის ნაამბომი“, „კოლხეთის ცისკარი“, „ნიკო ნიკოლაძე“, „მე, ვხედავ მზეს“ და სხვა.

ღირსეულად აღინიშნა ბატონ სინოს სასცენო მოღვაწეობის 50 წლისთავი. დაუვიწყარია ამ საღამოზე თეატრალური კორიფეების გამოსვლები.

მიზნობრივი მრავალფროვნება—ჰეროიკა, ტრაგიზმი თუ კომედია ... და იზრდებოდა თაობები სამშობლოს სიყვარულის, ჰუმანიზმის, მაღალი მოქლაქეობრივი მოვალეობის სულისკვეთებით.

ფოთის თეატრალურ—ლიტერატურული ცხოვრებით ცხოვრობდა და მარადიულ ზოგადსაკაცობრიო აზროვნებას ეზიარებოდა. დროის გადასახედიდან ახლა უფრო ვაფასებთ ბატონ სინო კალანდარიშვილის ღვაწლს და გვაოცებს მისი მონდომება — ნუთუ შეიძლება ასე გიყვარდეს ქვეყანა, საქართველო, შენი ჯიში და ჯილაგი. დიდი ვაჟას სიტყვებით მოვეფერები მის ნათელ ხსოვნას — „სამშობლოს სამსახურისთვის ჩანგი გიკურთხოს ზენამა.“

*ზურაბ აბრალავა
გაზეთ „ნიკოლაძის გზით“ რედაქტორი*

მის ხელში თეატრი გეობლა



განგებამ ისე ინება, რომ დიდი ნიკო ნიკოლაძის მიერ ღვთის სახლად გათვალისწინებული ფოთის საკათედრო ტაძრის დიდებული შენობა კომუნისტების ზეობის ჟამს დროებით მუზეუმს დაეთმო. სწორედ ამასთანავე დაკავშირებული ჩემი უბედ-

ნიერესი ბავშვობა, მსახიობი მშობლები და დირექტორთა შორის გამორჩეული პიროვნება, წარმოსადეგი, კეთილთვალეა რეჟისორი, მსახიობი და ორგანიზატორი სინო კალანდარიშვილი, რომ იტყვიან, მის ხელში თეატრი ზეობდა, განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ დიდნიც და მცირენიც.

ჩემთვის ყველა სპექტაკლი, კონცერტი, ღონისძიება ზღაპრულ სამყაროში მოხვედრა იყო და ვინაიდან 4—5 წლის ონავარი ბავშვი გახლდით, დროდადრო, როგორც ჩანს, ზედმეტ ხმაურთან „კომენტარებს“ ვაკეთებდი დარბაზიდან. ჰოდა, ერთ დღეს მშობლებმა მამცნეს, რომ დირექტორის განკარგულებით ბავშვებს, მსახიობების შვილებს, აგვეკრძალა სალამოს წარმოდგენებზე დასწრება. ყველა დაემორჩილა ბატონი სინოს ბრძანებას ჩემ გარდა და მალე კოლეგების წინაშე პროტესტი განვუცხადე გურულ კილოკავზე (უმეტესად სოფელში ვიზრდებოდი ბებიასთან).

— სინო ბიძია, გადვირთე შეენ? ბაღებმა თეატრში თუ არ ვიარეთ, აბა სულ ეზოში და ქუჩაში ვიყოთ?

მამაჩემმა უმაღ ყურის ენერგიულ აწვევასთან ერთად მკაცრი ინსტრუქტაჟი ჩამიტარა..

— არ შეიძლება დარბაზში ხმაური, სკოლაში იარე, ბიძია! — თქვა ვილაცამ.

— სკოლაში ჯერ არ მიღებენ და რა ვქნა?

სინო ბიძიას გაელიმა და მეორე დღეს ასეთი განკარგულება გასცა: მსახიობთა შვილები კვლავ დაესწრონ სპექ-

ტაკლებს, მხოლოდ — არა რეპეტიციებს. რაც მთავარია, მშობლებს დაევალებათ მკაცრი კონტროლი. მოგვიანებით მონაფეთა მხატვრულ შემოქმედებით ოლიმპიადებზე, როგორც ნორჩი შემოქმედი, ლექსებითა და დეკლამაციებით ხშირად ვლამქრავდი სცენას, რაც ძლიერ ახარებდა ბატონ სინოს და მეხუმრებოდა, „კოჭებში გეტყობოდა, რომ აქაურობას არ შეეშვებოდიო.“


როცა თეატრში ხანგრძლივი დიდად ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ სხვა სამეურნეო სამუშაოზე გადაიყვანეს, ყველასთვის, განსაკუთრებით მსახიობებისათვის, ეს აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო. მრავალი წლის შემდეგ მამაჩემის, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტ რეზო ქინქლაძის და მისი კოლეგების ინიციატივით, ჭალარამორეული, მაგრამ კვლავ მხნე, ავტორიტეტიანი, ქალაქში გამორჩეული პიროვნება თეატრის დირექტორად დაინიშნა, რაც ზეიმი იყო ყველასთვის. ბოლომდე მუზეუმის სამსახურში დაიფერფლნენ სინოც და მამაჩემიც.

ამჟამად, როცა დიდებულ ფოთის ტაძარს შევცქერო და ხანაც მოწინებით შიგ სანთლებს ავანთებ, სულო ცოდვილო, ანგელოზების, წმინდანების ჩურჩულთან ერთად ჩემი მშობლების, სხვა მსახიობების, სპექტაკლთა ეპიზოდების, სიმღერების, დეკლამაციების ხმები ჩამესმის. პირადად ჩემთვის მსოფლიოში არსად არის სხვა მსგავსი ადგილი, სადაც ასე შერწყმულია ერთმანეთს ღმერთი და მუზეუმი.

ზაზა (ბიძინა) ქინქლაძე
პოეტი



ჩემი მოლოდინის მეზობარი



მამაჩემი ალექსანდრე (საშა) შონია ცნობილი ქართველი რეჟისორის, სანდრო ახმეტელის და მისი მეუღლის თამარ ნულუკიძის უახლოესი მეგობარი იყო. სინო კალანდარიშვილი მან ჯერ კიდევ კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, სტუდენტურ სპექტაკლებში მონაწილეობის დროს გაიცნო, შემდეგ კი, 1939 წელს რეჟისორ პავლე ფრან-

გიშვილის ახალგაზრდა მსახიობთა ჯგუფი გორის თეატრში მიავლინეს. სწორედ აქ შედგა მათი მსახიობური ტანდემი, ისინი არაერთ სპექტაკლში უწევდნენ ერთმანეთს ღირსეულ პარტნიორობას. პროფესიული ურთიერთობა ერთგულ მეგობრობაში გადაიზარდა და როდესაც ბატონი სინო ფოთის თეატრში დაინიშნა დირექტორად, ჩვენი ოჯახი მასთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად ფოთში.

ფოთის თეატრში სინო კალანდარიშვილის რეჟისორობით განხორციელებულ სპექტაკლებში: „ხვეისბერი გოჩა“, „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“, „გლახის ნაამბობი“, „ტარიელ გოლუა“, „რაც არ გერგება, არ შეგერეგება“, „ადამიანია ღირსება“, „შამილი“, „მაია წყნეთელი“, „აპრაკუნე“ — მამა მთავარ როლებს ასრულებდა.

როცა თვალს ვავლებ წარსულს, ვიხსენებ, თუ როგორ მეგობრულად ვცხოვრობდით და როგორ ზრუნავდა იგი მუდამ მსახიობების ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. მახსოვს, ერთ პატარა ოთახში ვცხოვრობდით. ჩვენთან იკრიბებოდნენ სპექტაკლის შემდეგ მსახიობები. იყო დიდი მოლხენა, იუმორი, თამაში, სიმღერები, ლექსები... მე და ჩემს უფროს ძმას დასვენების საშუალება არ გვქონდა. ან რად გვინდოდა დასვენება ამ სანახაობის შემსწრეთ? აი,

აქ გამოიჩინა სინო ბიძიამ მისი ალალი ხასიათი და ყველაფერი გააკეთა, რომ იმავე სახლში შედარებით დიდი ფართობის ბინაში გადავეყვანეთ. ჩვენს ბინაში კი მსახიობ ოთარ გუნცაძის ოჯახი შეასახლებინა. მიზნის მისაღწევად არცერთ ინსტანციას არ ტოვებდა, ამიტომაც იყო, რომ მსახიობთა უმრავლესობა ქალაქ ფოთის ცენტრალურ ქუჩაზე, რუსთაველის რკალის № 13—ის პრესტიჟულ ბინაში ვცხოვრობდით ქალაქის პარტიული ნომენკლატურული მუშაკების, დამსახურებულ ექიმების, ინჟინრების გვერდით, როგორც ერთიანი ოჯახი.

მშობლებისაგან ხშირად გაგვიგია სინო კალანდარიშვილის თეატრისადმი დიდი ერთგულების და უზომო სიყვარულის შესახებ. ჩვენც არაერთხელ დამტკბარვართ მის მიერ შესრულებული როლებით. ჩემს მეხსიერებაში სინო კალანდარიშვილი დარჩა როგორც უაღრესად ნიჭიერი, თავდაჯერებული, კარგი ორგანიზატორი და პროფესიონალი ადამიანი.

ნუგზარ შონია, ტელერეჟისორი



არღვიწყება მოყვრისა...



„ახალკურსდამთავრებული ვიყავი, ბატონმა სინომ თეატრში რომ მიმიღო მსახიობად, ახალბედა ყველაფერს ინტერესით ვაკვირდებოდი. გავიცანი და სიამოვნებით აღვიქვი როგორც ხელოვანი და ამასთან, დიდი თბილი გულის ადამიანი. სინო გახლ-

დათ თეატრის სიყვარულით თვალეზგაციისკროვნებული პიროვნება. ვნახე მის მიერ შესანიშნავი ხელწერით დადგმული სპექტაკლები. ვნახე შესანიშნავად აწყობილი საქმე თეატრის ხელმძღვანელისა. მისთვის უპირველესი იყო თანაქალაქელებისადმი სასიკეთო საქმით მსახურება.

თეატრის საშუალო თაობა, ვინც ბატონ სინოს იცნობდა, არასოდეს დაივიწყებს მას, მის ქმედებას და ერთგულებას, თავდადებას სათეატრო საქმისადმი.

სამწუხაროა, რომ ნაადრევად წავიდა ჩვენგან 64 წლის ხელოვანი, მას კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო, მაგრამ უმუხთლა ბედისწერამ და ბოლო სპექტაკლი კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ აღმოჩნდა მისთვის. მჯერა, ბატონი სინო ქრისტეს ნათელში იქნება და ალბათ იქიდან ეალერსება სათაყვანებელ თეატრს, მის სათაყვანო კოლექტივს, ჩვენ კი „არდავინწყება მოყვრისა, აროდეს გვიზამს ზიანსა“... და არც იქნება დავინწყებული სასახელო ქართველი თეატრალი.

*შალვა ლიპარტელიანი, ფოთის თეატრის მსახიობი
ვაზ. „ფოთი და ფოთელები“, 12 ივლისი, 2002 წელი*

მისი სიტყვები ჩემთვის ცხოვრების ფორმულაა



მნიშვნელოვანი მისია გეკისრება, როდესაც იხსენებ ისეთ ხელოვანს, მსახიობს, რეჟისორს, თეატრის ხელმძღვანელს, როგორც ბატონი სინო კალანდარიშვილი იყო. ეს მისია კიდევ ორმაგად მნიშვნელოვანი ხდება, როცა ის კავშირშია ჩემი, როგორც მსახიობის, ცხოვრების სანყის წლებთან.

1964 წელს ფოთის თეატრის მსახიობმა, შემდეგში ცნობილმა პოეტმა ჯემალ ჩახავამ მიმიყვანა ბატონ სინოსთან და უთხრა, ამ ბავშვს სცენაზე უნდა დგომაო. ბატონმა სინომ ამხედ— დამხედა და მითხრა, ლექსი წამიკითხეთ თუ შეგიძლიათო. მახსოვს, ოფლმა დამასხა... გადავხედე ბატონ ჯემალს და დავინყე ლექსის კითხვა. ეს იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის „ცისა ფერს“. კითხვა დავამთავრე და ბატონმა სინომ ჯემალს უთხრა, წაიყვანე და დასის გამგეს ჩააბარეო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. აი, აქედან დაიწყო ჩემი, შემდეგში როგორც მსახიობის, ურთიერთობა მასთან და მის მიერ დადგმულ სპექტაკლებში სისტემატური მონაწილეობა. დაუფინყარია ბატონი სინოს მამობრივი ზრუნვა და დიდი სიყვარული ჩემ მიმართ. დაუფინყარია მისი მორგებული შენიშვნები სპექტაკლებზე: „მერხებზე ანგელოზები სხედან“, „შავი წიგნი“ და „კოლხეთის ცისკარი“ მუშაობის დროს. დღესაც მახსოვს მისი დარიგება და ჩემთვის იმ დროს ნათქვამი ყოველი მისი სიტყვა, როგორც მსახიობისთვის, ცხოვრების ფორმულაა. დღესაც არ დაუკარგავს ჩემში მის სიტყვებს ძალა: „ძალიან დიდი შრომაა საჭირო, თუ გინდა, რომ სცენაზე წარმატებებს მიაღწიო.“

სცენის დიდი სიყვარული დღესაც ძალუმად ღვივის ჩემში. თეატრი ჩემთვის მთელი ცხოვრებაა. ამიტომაცაა, რომ დღესაც ერთგულად და სიყვარულით

ვდგავარ ჩვენი თეატრის ახალგაზრდა მსახიობებთან ერთად.

მადლობა სინოს ამ სულისკვეთებისათვის!

*ნოდარ ბჟალავა
ვალერიან გუნიას სახელობის ფოთის პროფესიული
თეატრის მსახიობი*

ჩემი ქალაქის ისტორიის საინტერესო უპრცეპი



მასსოვს, 1977 წელს სამხატვრო აკადემიას ვამთავრებდი და ძალიან მინდოდა, მშობლიურ ქალაქში დავბრუნებულიყავი და იქ გამეგრძელებინა საქმიანობა. ჩემი გულისნადები უფროსმა მეგობარმა, იმ დროს თეატრის მხატვარმა, ზაურ ცხადაიამ იცოდა და შემპირდა, რომ გამაცნობდა ფოთის თეატრის დირექტორს. თან დამარიგა, ეცადე, თავი მონონო საუბრით. თუ კი დადებითი წარმოდგენა შეექმნება შენზე, აუცილებლად დაგეხმარება, ძალიან უყვარს ნიჭიერი ხალხიო. ერთ დღეს მართლაც შემახვედრა ბატონ სინოს. მოულოდნელად გავშეშდი. ჩემ წინ იდგა არაჩვეულებრივი გარეგნობის, მკაცრი გამომეტყველების პიროვნება. ცოტა არ იყოს, ავლელდი. იგი საოცრად თბილი და უბრალო ადამიანი გამოდგა. ვისაუბრეთ თეატრზე, მხატვრობაზე, პოეზიაზე...გავთამამდი და ჩემს სურვილში გამოვუტყედი. ხმაამოუღებლად მისმენდა, ბოლოს მითხრა, თქვენი ნამუშევრები მაჩვენეთო. ნახევარ საათში მასთან გავჩნდი კაბინეტში, დაკვირვებით დაათვალიერა ნახატები. მადლობა გადამიხადა და ასე დავშორდით ერთმანეთს. ბოლო გამოცდა მქონდა დარჩენილი, არ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი. მოუ-

ლოდნელად ფაკულტეტის დეკანატში დამიბარეს და მომილოცეს, ფოთის თეატრმა მოგითხოვათ, როგორც მხატვარ—ასისტენტიო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ეს ბატონი სინოს დამსახურება იყო.

ჩავედი თუ არა ჩემს ქალაქში, უმალ თეატრს მივაშურე. ვიცოდი, დილის რეპეტიცია აუცილებლად იქნებოდა... 11 საათისთვის თეატრში ვიყავი. დღემდე მახსოვს, როგორ თბილად მიმილო. შეკრიბა მსახიობები და მიულოცა ახალგაზრდა, ნიჭიერი მხატვრის მოსვლა, არც ერთი მსახიობი არ მიცნობდა, მაგრამ იმდენად დიდი იყო ბატონი სინოს ავტორიტეტი, რომ გულთბილად მიმიღეს. ასეთი ბედნიერი იყო ჩემი პირველი დღე და ასე დაიწყო ჩემი საინტერესო საქმიანობა ფოთის თეატრში. სულ მალე მხატვარ-ასისტენტობიდან, ძირითად მხატვრად დამნიშნა.

ჩემი პირველი დამოუკიდებელი ნაშრომი, როგორც თეატრის მხატვრის, იყო სინო კალანდარიშვილის მიერ დადგმული კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, მახსოვს პრემიერამდე 7 დღე-ღამე თეატრიდან არ გამოვსულვართ, შეშინებული დედაჩემი ღამის 2 საათზე მომადგა თეატრში და როდესაც ჩემთან ერთად სცენაზე სამუშაო პროცესში ჩართული ბატონი დირექტორი, სცენის მემანქანე ბორის ბახტაძე დაინახა, დაგვლოცა და ნავიდა.

ბატონ სინოს განსაკუთრებული გემოვნება ჰქონდა, სასცენო სივრცის არაჩვეულებრივი გრძნობა და მისი მხატვრული ორგანიზება, ამიტომაც მის ყოველ შენიშვნას უმალ ვიღებდი და ბოლოს ჩემ მიერ შეთხზული დეკორაციები მაყურებელსაც მოსწონდა. ბატონმა სინომ სიცოცხლეშივე ჰპოვა აღიარება და მაყურებლის სიყვარული. ქალაქის ახალგაზრდა თაობამ აუცილებლად უნდა იცოდეს მისი მოღვაწეობის შესახებ. აუცილებელია იმ საცხოვრებელ სახლზე, სადაც ცხოვრობდა ბატონი სინო კალანდარიშვილი, გაკეთდეს მემორიალური დაფა.

*ჯანო დანელია
მხატვარი*

თეატრი ჩვენთვის დიდი სკოლა იყო



ბატონი სინო 1954 წელს ჩაუდგა სათავეში ფოთის თეატრს. ქალაქში ჩქეფდა სიცოცხლე, კულტურული ცხოვრების ცენტრი თეატრი იყო. მისით ვსუნთქავდით დიდი თუ პატარა... შესანიშნავ მსახიობთა დასი, რეჟისორები, საინტერესო სპექტაკლები... სპექტაკლებზე ბილეთების შოვნა ჭირდა... პირ-

ველი საშუალო სკოლის მოსწავლეებს გაგვიმართლა, რადგან ჩვენი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგები: ქალბატონი ალექსანდრა გუჯაბიძე და ბატონი პიმენ ნაცვლიშვილი თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრები იყვნენ. მე და ჩემს მეგობრებს, ლიტერატურული წრის წევრებს, გვქონდა ბედნიერება, თეატრის ხშირი სტუმრები ვყოფილიყავით. სავალდებულო იყო, ყოველ ახალ წარმოდგენას დავსწრებოდით და ნანახთან დაკავშირებით ჩვენი შთაბეჭდილებები გადმოგვეცა თავისუფალ თემებში, რეცენზიებში, რომელმაც შემდეგ წრის გაფართოებულ სხდომებზე წარვადგენდით. ჩემს მეხსიერებას დღესაც შემორჩა ბატონი სინოს დადგმული სპექტაკლების: „გადასასვლელი“, „ბაში აჩუკი“, „მაია წყნეთელი“, „შამილი“, „კოჭლი მენისქვილე“ შთაბეჭდილებები.

ჩვენი თაობის ახალგაზრდებისათვის თეატრი იყო დიდი სკოლა, სადაც ვიზრდებოდით, ვსწავლობდით სიკეთეს, მეგობრობას, სამშობლოს სიყვარულსა და ერთგულებას.

მახსოვს, სინო კალანდარიშვილის ინიციატივით, როგორ ორგანიზებულად ტარდებოდა მოსწავლეთა მხატვრულ-შემოქმედებითი დათვალისწინებები, რაც დიდი ზეიმი იყო სკოლების პედაგოგთა და მოსწავლეთა კოლექტივებისათვის. იგი ამ ოლიმპიადების ჩატარების

სული და გული იყო. სინო ქალაქის თანამოაზრე ხელოვან ადამიანებთან, პიანისტ მარკ აიბინდერთან (სამუსიკო სკოლის და შემდგომ სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი), გამოჩენილ ლოტბარებთან: მიხეილ ხავთასთან, არჩილ ხორავასთან (სამუსიკო სკოლის დირექტორები), ქორეოგრაფ შოთა ჩახავასთან ერთად უზრუნველყოფდა ამ ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებას. კომპეტენტური ჟიური, რომელსაც ბატონი სინო ხელმძღვანელობდა, მუდამ ობიექტურად აფასებდა მოსწავლეთა მიერ შესრულებულ საგუნდო თუ სოლო, მუსიკალურ, ქორეოგრაფიულ თუ დეკლამატორთა გამოსვლებს..

სინო კალანდარიშვილი იყო გულისხმიერი, მზრუნველი და ყურადღებიანი, ნუგეშისმცემელი ადამიანი. მინდა, გავიხსენო ერთი შეხედვით უბრალო ამბავი, პატარა შტრიხი ბატონი სინოს პიროვნული პორტრეტისათვის: როცა ბატონი სინოსთვის გვიან ღამით შეუტყობინებიათ მეუღლის, ქალბატონი ეთერის ძმის გარდაცვალების ამბავი, ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა იგი, მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. დილით დაელოდა მეუღლის გაღვიძებას და მხოლოდ ამის შემდეგ აცნობა თავზარდამცემი ამბავი.

დიახ, ასეთი ღირსეული თვისებებით, ადამიანებთან ურთიერთობის მაღალი კულტურითა და დიდი გულისხმიერებით ხასიათდებოდა ბატონი სინო კალანდარიშვილი.

მაღალმა ღმერთმა გაანათლოს მისი ვალმობილი სული ზეციერ სასუფეველში.

*ნატრული ტაბიძე
რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი,
ქალაქ ფოთის აკადემიკოს თეოფანე დავითაიას
№ 1 საჯარო სკოლის მასწავლებელი*

ახალგაზრდების გზის გამკვალავი



საყოველთაოდ ცნობილი იყო ბატონ სინოს განსაკუთრებული დამოკიდებულება ახალგაზრდების მიმართ. თეატრში საქმიანობის ერთ წელს ვითვლიდი, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს ბატონმა სინომ ჩემდა მოულოდნელად სრულიად ახალგაზრდას თეატრის ადმინისტრატორობა

შემომთავაზა. წინადადება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ მტკიცე უარი განვაცხადე, მაგრამ ბატონმა სინომ ისე დამინყო საუბარი ჩემს პერსპექტივაზე, ისე დამაჯერა საკუთარ თავში, უარი ვეღარ შევკადრე. ერთობლივი საქმიანობის 5 წლის განმავლობაში მისგან ბევრი რამ ვისწავლე, დასის მართვის, გასვლითი სპექტაკლების და გასტროლების ჩატარების ორგანიზაციულ საკითხების მოგვარების მხრივ.

ბატონი სინო მუდამ იყო ნიჭიერი ახალგაზრდების გზის გამკაფავი, დამაკვალიანებელი. სრულიად შემთხვევით, გასვლით წარმოდგენაზე, სამტრედიიაში, ბატონმა სინომ გაიცნო თეატრზე უზომოდ შეყვარებული, წარმოსადეგი გარეგნობის, დინჯად მოსაუბრე ახალგაზრდა ზაურ ჯანელიძე. ამ შეხვედრამ გადაწყვიტა ზაურის ცხოვრების საბოლოო გზა. მას შესაძლებლობა მიეცა სინო კლანდარიშვილის დახმარებით ემსახურა საყვარელი საქმისთვის. იგი წლების განმავლობაში წარმატებით უძღვებოდა ფოთის თეატრს, როგორც დირექტორის მოადგილე. სინო კლანდარიშვილი არამარტო ზაურის ცხოვრების გზის გამკაფავი აღმოჩნდა, არამედ მისი შვილის ალექსანდრეს (ალიკა) ცხოვრების ბედიც მან გადანყვიტა. ალექსანდრეს ნიჭი ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში შეუნჩნევია ბატონ სინოს. სწორედ სინო კლანდარიშვილი დაეხმარა მას, რათა სწავლა თეატრალურ ინსტიტუტში გაეგრძელებინა. ალექსან-

დრემ წარმატებით დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი და ისევ თავის კერას დაუბრუნდა. იმ ადგილს, სადაც აზიარა ბატონმა სინომ თეატრის სიყვარულს. გამოცდილ მსახიობებთან და რეჟისორებთან ურთიერთობამ ალიკას შესძინა არამარტო პროფესიული, არამედ მენეჯერული უნარ—ჩვევებიც. ალექსანდრე (ალიკა) ჯანელიძე 17 წელი წარმატებით ხელმძღვანელობდა ფოთის თეატრს.

ისეთი პიროვნებას, როგორც ბატონი სინო კალანდარიშვილი იყო ყოველთვის სათანადო პატივი უნდა მივაგო, რამეთუ დიდია მისი ღვაწლი, როგორც ხელოვანის და მოქალაქის.

*მაგული კონტრიძე
ვალერიან გუნიას სახელობის ფოთის
პროფესიული თეატრის დასის გამგე*

მასთან ერთად ვქმნიდით თეატრის ლამაზ ისტორიას!



ჩვენს ქალაქში კეთილი ისტორიები უკვალოდ არ ქრება!...

არიან ადამიანები, რომლებიც წარსულზე გვიამბობენ. შესაძლოა, ახალგაზდებმა არც კი იცოდნენ იმ პიროვნების არსებობის შესახებ, რომელმაც ჩვენი ისტორიის ურთულეს პერიოდში შექმნა შესანიშნავი თეატრი, რომელიც 60-იან წლებში წარმატებით ეჯიბრებოდა რუსთაველისა

და მარჯანიშვილის სახელოვან თეატრებს.

მე იმ ბედნიერ თაობას მივეკუთვნები, რომელიც ბატონ სინოს იცნობდა და მასთან ერთად ქმნიდა თეატრის ლამაზ ისტორიას!

თეატრალურ ინსტიტუტში ჩვენი ჯგუფი გამოირჩე-

ოდა ნიჭიერი ახალგაზრდებით, რომლებსაც თავიანთი სამსახიობო კარიერის გაგრძელება მხოლოდ დედაქალაქის თეატრალურ დასში თუ წარმოედგინათ... და აი, ჩვენთვის მოულოდნელად სადიპლომო წარმოდგენის გამართვის მეორე დღეს, რამდენიმე ახალკურსდამთავრებულს ოფიციალურად გამოგვიცხადეს, რომ ფოთის თეატრში ვიყავით ორი თეატრალური სეზონი სამუშაოდ მიწვეული.

სინო კალანდარიშვილის მოთხოვნით, თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ეგრეთწოდებული „ფოთის ჯგუფი“, 6 ახალგაზრდა მსახიობის შემადგენლობით, ფოთის თეატრისკენ გამოვეშურეთ. რკინიგზის სადგურიდან პირდაპირ თეატრში მივედი. ჩვენდა გასაკვირად იქ მსახიობთა მთელი დასი დაგვხვდა. გულთბილი მისალმებებით. უცბად შენობიდან შესანიშნავი აღნაგობის პიროვნება გამოვიდა, მოგვესალმა და გვითხრა: ფეხბედნიერი ყოფილიყოს თქვენი შემობრძანება ჩვენს თეატრშიო. შემდეგ კი მოგვასვენა, საცხოვრებელი ფართი გამოგვიყო და გულთბილად გვიმასპინძლა. ყოველი მისი ქცევა ჩვენთვის ძლიერ გასახარი იყო, რადგან ამ ქალაქში ნათესავეები არ გვყავდა... შთამბეჭდავი იყო მასთან პირველი შეხვედრა!

ეს გულთბილი მასპინძელი აღმოჩნდა თეატრის დირექტორი, სინო კალანდარიშვილი. მასთან შეხვედრამ მოგვენუსხა!

ბატონი სინო განათლებული, ნიჭიერი და უაღრესად დაფასებული პიროვნება აღმოჩნდა. იგი დიდი სიყვარულითა და გატაცებით ემსახურებოდა ფოთის თეატრს და გვხიბლავდა შემოქმედებითი მგზნებარებით. გარეგნულად მკაცრი, სინამდვილეში ძალიან თბილი ადამიანი იყო. გვეამაყებოდა, რომ ასეთი ხელმძღვანელი გვყავდა.

სინო კალანდარიშვილი ყველა ჩვენგანისათვის ახლობელი პიროვნება გახდა. იგი ცდილობდა თითოეულში მოედებნა დადებითი თვისება, გვათავისუფლებდა კომპლექსებისაგან და გვიმალლებდა თვითშეფა-

სების უნარს. ამიტომაც მასთან ლაღად ვგრძნობდით თავს. ამავე დროს იგი ვერ იტანდა ზარმაცებსა და მატყუარებს.

რაც არ უნდა დაკავებული ყოფილიყო თეატრის საქმეებით ბატონი სინო ყოველთვის გამონახავდა დროს, რათა ახალგაზრდა მსახიობებს უფრო მეტი გაგვეგო ქართული თეატრის ისტორიის შესახებ. განსაკუთრებით უყვარდა გამოჩენილი ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდების მოყოლა. ეამაყებოდა, რომ მისი მასწვლებლები იყვნენ ვასო ყუშიტაშვილი და პავლე ფრანგიშვილი. იგი ხშირად გვესაუბრებოდა ფოთის თეატრის განვითარების, რეპერტუარის შერჩევისა და სპექტაკლების დადგმის ხარისხის საკითხებზე. ვგრძნობდით, რომ ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხების მიმართ მისთვის მისაღები იყო. ამ პაექრობაში იგი ჩვენი თანამედროვე ხდებოდა... ამიტომ ყველას გვიყვარდა იგი. განსაკუთრებით უდიდეს პატივს ვცემდით ახალგაზრდები.

ბატონ სინო ყოველთვის თეატრის დიდი ქომაგი იყო. მისი უანგარო და მოკრძალებული ღვანლი დავინყებას არ მიეცემა.

*ნინოა ჭიჭინაძე
ვალერიან გუნიას სახელობის ფოთის პროფესიული თეატრის მსახიობი*



ქალაქის კოლორიტი



ჩვენი ქალაქის თეატრალურ კოჰორტაში გამორჩეული ადგილი ეჭირა ბატონ სინო კალანდარიშვილს. ის გახლდათ საოცრად კოლორიტული პიროვნება, დახვეწილი ინტელიგენტი, რომელიც დიდ პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა საზოგადოებაში.

ბატონი სინო კალანდარიშვილი ქართული თეატრალური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო - უაღრესად მართალ, ნიჭიერ, უპრეტენზიო შემოქმედს საკუთარი განუმეორებელი ხელწერა ჰქონდა.

ჩემმა მეუღლემ, ოთარ გუნცაძემ, სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო ფოთის თეატრში მუშაობა. სინო კალანდარიშვილსაგან ისწავლა მან ქვეყნისა და თეატრის სიყვარული, ერთგულება და თავდადება საყვარელი საქმისადმი. მისი ხელმძღვანელობით ბუმბერაზი მსახიობების გვერდით ეუფლებოდა სასცენო ხელოვნების კანონებს, რამაც სათავე დაუდო მასში არტისტიზმის დახვეწასა და სრულყოფას.

ბატონი სინო ბუნებით კეთილშობილი ადამიანი გახლდათ, გულთან მიჰქონდა თითოეული თანამშრომლის სატიკვარი. ამის თქმის საფუძველს მაძლევს, თუნდაც ის ფაქტი, როდესაც მე და ჩემი მეუღლე დავქორწინდით, ერთ პატარა ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით, ახალგაზრდა მსახიობის ფინანსური ბიუჯეტი თითქმის ბინის ქირაში მიდიოდა. როდესაც სინოს მოახსენეს ეს ამბავი, იგი ჩვეული ოპერატიულობით ჩაერია პრობლემის გადაწყვეტაში. სწორედ მისი ხელშეწყობითა და თანადგომით ჩემს მეუღლეს გადაეცა საცხოვრებელი ფართი ქალაქის ცენტრალურ უბანში, რამაც შემდგომში ხელი შეუწყო ჩვენი ლამაზი ოჯახის გამრავლებას.

ასევე, ბატონი სინო კალანდარიშვილის თანადგომით ოთარმა შეძლო, კინოხელოვნებაშიც დაეტოვებინა თავისი მოკრძალებული კვალი. რეჟისორს ეამაყებოდა, რომ მისი თეატრის მსახიობს კინოფილმებში იღებდნენ და ამიტომ ყოველმხრივ უწყობდა ხელს.

მართალია, ფოთის თეატრის სცენაზე განსახიერებული სპექტაკლები და მსახიობთა მიერ ნათამაშები როლები ისტორიამ მიითვალა, მაგრამ უფროსი თაობის ვალია, ახალგაზრდებს გავაცნოთ ჩვენი ქალაქის სახელოვანი, საამაყო ადამიანების ღვაწლი, მათი დამსახურება, რომელთა შორისაც ღირსეული ადგილი უჭირავს ბატონ სინო კალანდარიშვილს.

*ზაირა გუნცაძე
ლიტერატორი*

ბატონ სინოს ძალიან ვაფასებდი...



სინო კალანდარიშვილის მოღვაწეობა ჩვენი ქალაქის კულტურული ცხოვრების საინტერესო ფურცელი და ფოთის თეატრის ისტორიაა, იმ თეატრისა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო საქართველოში.

ბატონ სინოსთან მაკავშირებს საოცრად თბილი მოგონებები. მახსოვს, როგორ გადმომცა მოსწავლეთა თვითმემოქმედებითი კოლექტივების დათვალიერების დასკვნით საღამოზე ბატონმა სინომ, ჟიურის თავჯდომარემ, ფოთის თეატრის დირექტორმა პირადად გამარჯვებულის დიპლომი და საჯაროდ გამოაცხადა, რომ ჩემგან კარგი მსახიობი დადგებოდა.

ამ დიდებული ადამიანიდან ხელდასმული ყოველწლიურად მოსწავლეთა ოლიმპიადების ლაურეატი ვიყავი.

როცა მამაჩემმა თავის ცხოვრება თეატრს დაუკავშირა, შესაძლებლობა მომეცა, რომ ჩემი საოცნებო სამყაროს ხშირი სტუმარი გაემხდარიყავი. ჩემი ვიზიტები შეუმჩნეველი არ დარჩენილა ბატონ სინოსათვის და როცა შეუტყვია ჩემი ვინაობის შესახებ, უმალ მამაჩემი დაუბარებია და ხოტბა შეუსხამს ჩემთვის. უთქვამს, რომ კარგი გარეგნობის, ბრწყინვალე ხმის ტემბრის, კარგი მუსიკალური სმენისა და მეტყველების მქონე გოგონაა და მისი ადგილი თეატრშიაო. მთავარია, მან სკოლაში ისწავლოს კარგად და სამსახიობო უნარ—ჩვევების დაუფლებაში ჩვენ დავეხმარებითო. ამ სიტყვების გამგონე მამა არ დაეთანხმა მას, რადგან კატეგორიულად არ სურდა მე მსახიობი გამოვსულიყავი, ვეხილე დიდ სცენაზე, რის გამოც არ მომეცა შესაძლებლობა იმისა, რომ გაემხდარიყავი თატრალური ინსტიტუტის სტუდენტი. ბატონი სინოს დაჟინებულმა სურვილმა გაჭრა ჩემთვის უსაყვარლესმა და გზის გამკვალავმა ადამიანმა მოახერხა ის, რომ მშობლები დაითანხმა და თეატრალურ დასში ჩამრიცხა. პირველად ეპიზოდურ როლებს ვასრულებდი. საბოლოოდ წილად მხვდა უდიდესი ბედნიერება მთავარი როლები მეთამაშა, მის მიერ დადგმულ სპექტაკლებში „ნისლიანი დღეები“, „ცისკრის ზარები“, „ბრმა მუსიკოსი“, „მერხებზე ანგელოზები სხედან“.

დრო გადიოდა, ზღვა წარმატება იყო ჩემს ცხოვრებაში. მსახიობები ბატონ სინოს ძალიან ვაფასებდით, რადგან მოგვწონდა მისი მუშაობის სტილი. მასთან მუშაობა ადვილი იყო, იგი გვენდობოდა, თავისუფლებას გვაძლევდა და წარმატებებსაც ვალწევდით.

საზოგადოებამ ისეთ ადამიანს, როგორც იყო სინო კალანდარიშვილი სათანადაო პატივი უნდა მიაგოს.

*ვიოლეტა გურგენიძე
მსახიობი*

სიყვარულითა და კეთილშობილებით ბანვლო წუთისოფლის ბგა



მე და ჩემი მეუღლე ოთარ ცერაძე მოზარდმაყურებელთა თეატრთან არსებულ თეატრალური სტუდიის სტუდენტები ვიყავით, როდესაც ბატონმა სინოსგან შემოთავაზება მივიღეთ. მან ისე ოსტატურად დაგვიხატა ფოთის თეატრის პერსპექტივები, რომ მიუხედავად იმისა, სხვა ქალაქში გვქონდა გადაწყვეტილი შემდგომი საქმიანობის გაგრძელება, ბატონ სინოს უარი ვერ ვკადრეთ და ფოთის თეატრისკენ გამოვეშურეთ.

ახალდაქორწინებულებს ყოველგვარი პირობები შეგვიქმნა ნორმალური ცხოვრებისა და შემოქმედებითი საქმიანობისათვის. მისი მზრუნველობა არასოდეს მოგკვლვებია. ჩვენ ბედნიერი ვიყავით, რომ განგებამ ბატონი სინოს შეგვახვედრა. იგი იყო რეჟისორი განსაკუთრებით მკაცრი იმიჯით, ამალღებული სულით, უნიკალური და განუმეორებელი. რეპეტიციების დროს მას ვერ გამოაპარებდი ვერც ერთ ნიუანს, ვერ მოატყუებდი, ვერ ითამაშებდი განცდის გარეშე. იგი არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. ყველას უყვარდა მისი კეთილი გულის გამო.

სინო კალანდარიშვილს უდიდესი წვლილი მიუძღვოდა ჩემი მეუღლის ანგანსვენებულ ოთარ ცერაძის სარეჟისორო კარიერის დაწყებაში, სწორედ მისი დაჟინებული თხოვნის შედეგად ოთარმა თეატრალურ ინსტიტუტში, სარეჟისორო ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა და წლების მანძილზე ფოთის თეატრის მთავარი რეჟისორი გახლდათ. ეს ადამიანი ჩვენი ცხოვრების მანათობელ შუქურად იქცა.

სინო კალანდარიშვილმა ბევრი ახალგაზრდა მსა-

ხიობი აღმოაჩინა, რომლებმაც შემდეგში დიდი წვლილი შეიტანეს ფოთის თეატრის წარმატებაში. სულ პატარა იყო ჩვენი ბადრი თოთიბაძე, როცა სინო მუდმივად ცდილობდა თეატრალური ცხოვრების ეპიცენტრში ჰყოლოდა, ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ბადრი ჩვენი თეატრის თანამშრომლის შვილიშვილი იყო და თითქმის სულ თეატრში იყო, სინოც მუდმივად ხელს უწყობდა, რომ თეატრალური ცხოვრების ცენტრში ყოფილიყო, დაჰყავდა გასტროლებზე გასვლით წარმოდგენებზე. პატარა ბადრიმ თითქმის ზეპირად იცოდა ყველა მსახიობის როლი. თავიდან ეპიზოდური როლები ათამაშა, შემდეგ კი ბადრი თოთიბაძემ, როგორც მსახიობმა, არაერთი მთავარი როლის შესრულებით დაატკბო ფოთელი მაყურებელი.

ბატონმა სინომ სიყვარულითა და კეთილშობილებით განვლო წუთისოფლის გზა. მწამს, ღმერთი იქნება მისი შემწე მუდმივ იმქვეყნიურ ციურ სამყაროში.

*სვეტა მიხაილიძე
მსახიობი*



რედაქტორი:
დარეჯან ინჯგია

მხატვარი:
ჯანო დანელია

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ქეთევან ფორხუა

წიგნი დაიბეჭდა სტამბა “ირიდაში”
მის: ქ. ფოთი, წმ.ნინოს ქ. №4

ISBN 978-9941-0-8982-4

